„ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რკით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ.“ (ვაჟა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ტრიბუნა

825 /2
1981

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№34 PARIS OCTOBRE 1981 ოქტომბერი პარიზი №34

Djobadze's Library

გამოცემის მეშვიდე წელი

შინაარსი

.2	მოკლედ ბევრ რამეზე	მოწინავე
.3	რონოდებში წამებულნი –ლექსი	ი. ო.
.4	„კიდევ ერთი ეროვნული საკითხი“	„რუსსკაია მისლ“
.7	განიარაღება თუ შეიარაღება	გ. ლუბაშვილი
.9	პოლონეთის კრიზისი	გ. წერეთელი
.12	ქართული ისტორიოგრაფია	ალ. მანველიშვილი
.16	გახსენება	გიორგი ნაკაშიძე
.17	შეცდომათა გასწორება	ნიკო ურუშაძე
.18	სომხების ტერორი გრძელდება	გრიგოლ წერეთელი
.19	ჩემი ბავშვობის სასოწარკვეთილება (აკაკი წერეთლის დაბადების 140 წლისთავი)	ვიტალი უგრეხელიძე
.20	ძმები ივანე და აღექსანდრე ნიკურაძეები	დავით თაბორიძე
.21	პავლე სარჯველაძის ხსოვნას	გრიგოლ წერეთელი
.22	სამგლოვიარო განცხადებები	
	სამშობლოს ქრონიკები	
.23	დიდმნიშვნელოვანი წლისთავი	„თ. ტ.“
.25	ჩვენს საზოგადოებაში (ნამეტია გოგუაძის 90 გაზაფხული; ქრისტეფორე იმნაიშვილის 91 წლისთავი; გრიგოლ რობაქიძის 100 წლის იუბილე)	
.26	ეთერი ფაღავის ბალეტი	გულნარა ურატაძე
	ჩვენი ფონდი და ბალანსი	

EDITEUR : GEORGES TSERETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL. 607.08.14

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ბევრ ამბებზე

პირველ რიგში ხაზი გავუსვათ აგვისტოს ეროვნულ აჯანყების **57** წლისთავს. სული იმ დიდებული მამულიშვილების, რომლებიც **1924** წლის აგვისტოს აჯანყების დროს სამშობლოს განთავისუფლების დაუვიწყარ ბრძოლას შეეწირნენ, მამა-ზეციერს შევავედროთ.

დღესაც ჩვენი ეროვნული მიწა-წყალი უცხო დამპყრობელების - რუსების ჩექმებით ითელება. დღესაც მპყრობელთაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება. თუმცა სხვა ფორმებში, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდება, და ის გაგრძელდება ბოლომდე, გამარჯვებამდე. **1924** წლის ბრძოლა, მაშინდელი შემართება, მამაცობა, თავხედობამდე მისული გამბედაობა, შეუდარებელი მისაბაძი მაგალითია დღევანდელი, და იქნება მომავალი თაობებისათვის.

მარადიული კეთილი ხსოვნა და მადლობა ბრძოლის ველზე, ციხეებში, გადასახლებებში თუ დევნილობაში დაღუპულ მამულიშვილებს!

მრავალჟამიერი ქართველ ერს!

წელს, სამშობლოში, როცა მისი მპყრობელები საზეიმოდ ემზადებოდნენ, მაშინ ჩვენი ახალგაზრდობა უფროსებთან ერთად გაბედულ წინააღმდეგობას ეწეოდა დედაენის, ქართული კულტურის და საერთოდ ქართული მეობის დასაცავად. ხელისუფლებისადმი გაწეულ წინააღმდეგობაში სულ უფრო მასიურია მონაწილეობა. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობები ამაში გვარწმუნებენ. ის ფაქტი, რომ ახალგაზრდათა მნიშვნელოვანმა ჯგუფმა უგულებელჰყო ხელისუფლების აკრძალვა, პოლიციის მუქარა, დევნა და სხვა მრავალი დაბრკოლებანი, შეიკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსული დიდების მომსწრე **სვეტიცხოველის** დიდებულ ტაძარში და იქ ცად აღავლინა ლოცვა საქართველოს ხსნისა, არის დიდი იმედებისა და ნუგეშის მომნიჭებელი. ეჭვი არაა: ეს ახალგაზრდობა, ეს თაობა, როცა საჭირო იქნება თავს არ დაიზოგავს ერისა და მამულის სამსხვერპლოზე. ეს კი თავი და თავია ქართული საქმის წარმატებისა, საქართველოს უკვდავებისა.

ძალიან სავალალო ამბავიც გვაქვს სამშობლოდან. სამი წლის წინად გამომქღავნებული სატკივარი აფხაზეთში არ მოშუშებულა, პირიქით, უფრო მტკივნეული ხასიათი მიუღია. ამჟამად აფხაზეთში ქართველებს ავიწროებენ, დევნიან, აპატიმრებენ და ასახლებენ.

ჩვენ არამც და არამც არ ვართ აფხაზების ასიმილაციის მომხრენი, მაგრამ აფხაზების და ქართველების სამშობლო ერთ სამშობლოდ მიგვაჩნია. არავითარი ეროვნული შუღლი ამ ორ ხალხს შორის არ უნდა არსებობდეს, ალბათ არც იარსებებდა „უფროსი ძმები“ რომ არ ეშმაკობდნენ. ამ ეშმაკებზე მონადირეებმა დარწმუნებით უნდა იცოდნენ: აფხაზეთი იყო, არის და იქნება ქართული სახელმწიფოს შემადგენელი-განუყოფელი ნაწილი.

საერთაშორისო სარბიელზე ამ უკანასკნელ თვეებში მოწმე ვართ კიდევ უფრო მეტი დაძაბულობისა. ყოველგვარი ეჭვის გარეშე ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირმა მიაღწია სამხედრო სიძლიერის უპირატესობას შეიარაღების მთელ რიგ დარგებში(ტანკები, ავიაცია, ტაქტიკური ატომური იარაღი ევროპის ფრონტზე...) და, რომ მიიღტვის კიდევ უფრო მეტი უპირატესობისაკენ.

ყველაფერი ეს მოხდა ყბადაღებულ „დეტანტის“ დროს, როცა ბრეჟნევი ხელს აწერდა ევროპის უშიშროების, სალტ პირველად და სალტ მეორედ წოდებულ, შეიარაღების შემზღუდველ ხელშეკრულებებს, ხელსაყრელ პირობებში ღებულობდა კრედიტებს, რითაც უხვად იძენდა მოწინავე ტექნიკის იარაღებს, ფაბრიკა-ქარხნებს და ხორბალს.

დასავლეთმა და განსაკუთრებით ამერიკამ აღღო აუღო რუსების „ხიტრობას“.

30176

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვიტეს საბჭოების მასიურ შეიარაღებას, მასიური შეიარაღებით უპასუხონ და თუ მოინდომეს მათ ძალაც შესწევთ ქადილისა!

კრემლი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს შეინარჩუნოს და განამტკიცოს მიღწეული უპირატესობა და სწორედ ამ მომენტში მოწმე ვართ მათ მიერ გაჩაღებული დიპლომატიური და პროპაგანდისტული კამპანიისა მთელს მსოფლიოში. უმთავრესი ყურადღება კი მიპყრობილია დასავლეთ ევროპაზე, კერძოდ ფედერალური გერმანიისაკენ(ალბათ ის საერთო ჯაჭვის ერთ სუსტ რგოლადაა მიჩნეული კრემლის სტრატეგების მიერ). გერმანიის და ნაწილობრივ ჰოლანდიის ნეიტრალიზაცია, ე.წ. „ფინლიანდიზაცია“ ჩანს კრემლის მესვეურების სადღეისო ამოცანად. ამიტომ ბერლინიდან დაწყებული და მთელ დასავლეთ გერმანიაში გაჩაღებული „პაციფისტების“ მანიფესტაციების განვითარებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

საეჭვოა, რომ ამჟამად რუსებმა შეძლონ ფედერაციული გერმანიის განეიტრალება. ისინი ალბათ იმითაც დაკმაყოფილდებიან თუ გერმანიის მთავრობა უარს ეტყვის ამერიკას გერმანიის ტერიტორიაზე ნეიტრონული ბომბები რომ გაალაგოს.

ეგვიპტის პრეზიდენტ ანუარ ელ სადათის მკვლელობა ერთხელ კიდევ თვალწინ გვიყენებს ახლო-აღმოსავლეთის გაუთავებელ კრიზისს. ცხელი ომი ისრაელსა და არაბებს შორის ყოველ წუთსაა მოსალოდნელი, რაც სულ ადვილად შეიძლება გადაიქცეს მესამე მსოფლიო ომად.

ავღანეთის ოკუპაცია და ირანის ისლამური რევოლუცია სტრატეგიულად უპირატესობას საბჭოთა კავშირს ანიჭებს მსოფლიოს ამ მეტად მნიშვნელოვან კუთხეში. ამერიკის შ. შტატების სამხედრო სტრატეგიულ სისუსტეს აქ აძლიერებს პოლიტიკური არახელსაყრელობა, რომელიც გამოწვეულია მისი პროისრაელური პოლიტიკით. ცნობილია: არაბული და საერთოდ მუსულმანური სახელმწიფოები, პაკისტანიდან ალჟერამდე, ათეისტურ საბჭოთა რეჟიმის მტრები არიან .და ამრიგად დემოკრატიულ ბანაკის ბუნებრივი მოკავშირეები, მაგრამ მათი მტრობა სიონიზმისა და ისრაელის მიმართ მათ უბიძგებს მათი ბუნებრივი მტრების-საბჭოებისაკენ, დროებით მაინც თუ ხანგრძლივად არა.

ახლო-აღმოსავლეთის დღევანდელი ჩახლართული მდგომარეობა მოგვაგონებს გორდიას გაუხსნელ კვანძს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ხმლით გაკვეთა.

--- --- --- ---

რონოდებში წამებულნი

ათას ცხრაას ოცდაოთხი,
ოცდარვა არის აგვისტო,
მოსაგონრად შესაზარი,
დასაწერად საგვირისტო.

***

ვაჰ, მამულო ნაწამებო!
ვაჟკაცებო ჩვენი ქვეყნის.
ვაჰ, ოჯახნო დაღუპულნო,
საიმედოს ვინღა გეტყვის.

***

ქურდულად და ქურდებივით
ჭიათურიდან გაიყვანეს,
გაატარეს იმერეთი,
ზესტაფონში ჩაიყვანეს.

ას ოთხმოცდაექვსი კაცი
რონოდებში მოამწყვდიეს,
არ დაზოგეს, დაუშინეს,
ტყვიის მფრქვეველით დაამიწეს.

***

დაგიბრუნდა ბნელი დღენი,
შენ ატირდი ქართლის დედავ.
ასეთია შენი ხვედრი,
მეორდება, როგორც ხედავ.

***

უბედობა დაგებედა,
მსხვერპლი ბევრი გაგიღია.
არ თავდება ტკივილები,
მწუხარების კარი ღია.

ი. ო.

--- --- --- ---

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კიდევ ერთი ეროვნული საკითხი“

(ასეთი სათაურით, რუსულმა გაზეთმა „რუსსკაია მისლ“-მა, 1981 წ. სამი სექტემბრის ნომერში დაბეჭდა რუსეთიდან მოსული წერილი საქართველოს შესახებ, რომლის სიტყვასიტყვით თარგმანს აქ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.)

„1980 წლის ივნისში, 364-მა ქართ. ინტელიგენციის წარმომადგენელმა წერილით მიმართა ბრეჟნევს და შევარდნაძეს, რათა ქართულ ენას მიცემოდა სახელმწიფო ენის სტატუსი საქართველოში, და გაუმჯობესებულიყო საქ–ს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება... 1981 წლის იანვარში, ასზე მეტმა ქართველმა ინტელიგენტმა იმავე პირებს გაუგზავნეს წერილი, აფხაზეთში ქართველების შევიწროების შესახებ. ამას წინ უსწრებდა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველების განცხადება 1980 წლის აპრილში. ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა ქართველი უმრავლესობის პრობლემა აფხაზეთში. არც ერთ ამ წერილზე პასუხი არ ყოფილა, არც არაფერი შეცვლილა.
1981 წლის მარტში საქართველოში დაიწყო მღელვარება.

23 მარტი

ათასამდე სტუდენტი იღებდა მონაწილეობას საპროტესტო მანიფესტაციებში თბილისის უნივერსიტეტის რექტორატის წინ, რომლებიც მოითხოვდნენ პოპულიარულ ლიტერატურულ კრიტიკოსის **ა. ბაქრაძის** თავის თანამდებობაზე(პროფესორი) აღდგენას. სტუდენტებმა თავისას მიაღწიეს.

30 მარტი

დილის 10 საათზე და 30 წუთზე სასახლის წინ, სადაც იხსნებოდა საქ–ს მწერალთა ყრილობა, მოგროვდა დემონსტრაცია. მათ ხელში ეკავათ პლაკატები: „შეწყვიტეთ ქართველების დევნა აფხაზეთში“, „გაანთავისუფლეთ **მარკოზია** (ერთ-ერთი წამომწყები ქართველების დაცვის მოძრაობისა აფხაზეთში. ის ციხეშია 1980 წ. თებერვლიდან. მას იარაღი ჩაუდვეს ავტომობილში შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა.) სხვა ლოზუნგები მოითხოვდნენ: საქ. ისტორიის შესწავლას სკოლებში, გამოჩენილ ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა ძეგლების დადგმას, როგორიცაა **დავით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი** და სხვები. საინგილოს ქართველების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქ–ს სკოლებში თითქმის არ ასწავლიან საქ–ს ისტორიას, ფორმალურად მისთვის განკუთვნილია ს.ს.რ.კ.–ს ისტორიის მეოთხედი, სინამდვილეში კი გაცილებით ნაკლები. საინგილო, რომელიც საქ–ს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილია, 1921 წლის ოკუპაციის და საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის შეუერთეს აზერბაიჯანს. საინგილოს ქართველების განცხადებები ეროვნულ და რელიგიურ შევიწროების და ასიმილაციის საპროტესტოდ უყურადღებოდ რჩება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა გამოსულიყო მანიფესტანტების წინაშე. მასთან კამათი დაიწყო ქუჩაში და გაგრძელდა შიგნით უკვე მცირერიცხოვან დელეგაციასთან. დანარჩენების გაფანტვას შეეცადა მილიცია, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა უხეშობას, ხელით შეხებას. რამოდენიმე მანიფესტანტი დააპატიმრეს. ეს თბილისში არ უყვართ. დემონსტრატებმა, რომელთა რაოდენობა ათასამდე აღწევდა, პლაკატები აღმართეს ყველა დაპატიმრებულის დაუყოვნებლივ განთავისუფლების მოთხოვნით. დემონსტრაციები გაგრძელდა 4-5 საათი რუსთაველის მოედანზე, რის შემდეგ დაკავებულები გაანთავისუფლეს. შევარდნაძე მანიფესტანტებს დაპირდა მივიდოდა უნივერსიტეტში 15 და 26 აპრილს შორის იმ საკითხებზე მოსალაპარაკებლად, რომლებიც მათ აღელვებენ. ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დაპირდა მეორე დღეს მივიდოდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუდენტებთან შესახვედრად. რამოდენიმე დღის შემდეგ საქ–ს პრესამ აცნობა მარკოზიას პატიმრობიდან განთავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 მარტი

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **კავსაძემ** გაბედა მისულიყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის და უნივერსიტეტის სტუდენტთა ვრცელ აუდიტორიის წინაშე. სტუდენტები მოითხოვდნენ აფხაზეთის მდგომარეობის გარჩევას და, რომ წაკითხული ყოფილიყო იანვრის წერილი. როცა ხელისუფლების წარმომადგენელმა ამაზე უარი განაცხადა, სტუდენტებმა დატოვეს დარბაზი. დაბნეული მაღალი თანამდებობის პირები ქუჩაში თავმოყრილ სტუდენტებს დაჰპირდნენ, რომ იანვრის პეტიციაც იქნება წაკითხული და მასზედ პასუხსაც მიიღებენ, როცა შევარდნაძე მათ შეხვდება უნივერსიტეტში.

14 აპრილი

1978 წლის მანიფესტაციების შემდეგ ეს დღე გახდა რეჟიმის საწინააღმდეგო სიმბოლურ დღედ. წელს პირველად საჯაროდ აღნიშნეს ეს. ახალგაზრდები, უმთავრესად სტუდენტები შეიკრიბნენ ძველ სვეტიცხოველის ტაძარში, საქ-ს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ერთად საქართველოსთვის საღოცავად.

ამის წინა დღეებში იგრძნობოდა ხელისუფლების ნერვიულობა. სტუდენტებს ქალაქიდან ისტუმრებდნენ ტურისტულ საგზურებში, აწყობდნენ ექსკურსიებს და სხვა. ერთ სტუდენტს კაგებე დაემუქრა თუ მონაწილეობას არ მიიღებდა გადარბენაში.

14 აპრილს უნივერსიტეტის ეზო, რკინიგზის სადგური, მატარებლის ვაგონები, რომლებითაც სტუდენტები მგზავრობდნენ, გავსილი იყო მილიციის და „კ.გ.ბ."-ს თანამშრომლებით. აცხადებდნენ, რომ ეძებენ პატიმრობიდან გამოქცეულ საშიშ ბოროტმოქმედს, მაგრამ მას რატომღაც მცხეთაში ეძებდნენ, სწორედ სვეტიცხოველში...

საქ-ს სამხედრო გზაზე მიმოსვლა სრულიად იქნა შეწყვეტილი. მცხეთაში თვით ფეხოსანსაც კი არ უშვებდნენ– ვითომც გზაზე ადგილი ჰქონდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებას. თუმცა ჩვეულებრივად მცხეთაში მატარებლები ყოველთვის ჩერდებიან, ამ დღეს აქ გაუჩერებლად გადიოდნენ. ბუნებრივია, ბევრმა ვერ შეძლო სვეტიცხოვლამდე მიღწევა. მაგრამ, სამასამდე ახალგაზრდამ ერთი მატარებლით, რომელიც როგორც იქნა გაჩერდა, მიაღწია დანიშნულ ადგილს. ზოგიერთი სტუდენტი მტკვარზე ცურვით მივიდა. ყველას უნდოდა მოესმინა მაგნიტოფირზე ჩაწერილი ძველი საეკლესიო საგალობლები. ხელისუფლებას არც ამის დაშვება უნდოდა. დასაწყისში ხელს უშლიდა ე.წ. წითელი სამღვდელოება–„კ.გ.ბ."-ს აგენტები, და შემდეგ თითქმის მთელ მცხეთაში გამორთეს ელექტრონი, რომ შეუძლებელი გაეხადათ მაგნეტოფონის ჩართვა.

ახალგაზრდებმა ერთხმად წაიკითხეს „მამაო-ჩვენო", იგალობეს და მუხლებზე დაჩოქილებმა ილოცეს საქართველოზე. შემდეგ ყველა ერთად გაემგზავრა თბილისისაკენ. მცხეთის ქუჩებში, მატარებელში, თბილისის მეტროში ისმოდა მრავალჟამიერი.

თბილისში, სიონის საკათედრო ეკლესია გარშემორტყმული იყო მილიციისა და „კ.გ.ბ."-საგან, სადაც არავის არ უშვებდნენ, თუმცა ყოველ სამშაბათობით იქ წირვა წარმოებს. ას სტუდენტზე მეტმა ხელი მოაწერა საპროტესტო წერილს შევარდნაძის სახელზე, სადაც დაგმობილი იყო ხელისუფლების მოქცევა ამ დღეს.

20 აპრილს შევარდნაძე სრულიად მოულოდნელად გამოცხადდა უნივერსიტეტში. სასწრაფოდ რექტორატში გამოიძახეს რამოდენიმე სტუდენტი რომ შეხვედრას მიცემოდა დაპირებული ხასიათი. ცოტა ხანში გაავსეს სააქტო დარბაზი, მაგრამ სრულიადაც არა იმ სტუდენტებით, რომლებიც მონაწილეობდნენ საპროტესტო მანიფესტაციებში *30* მარტს. ეს აუდიტორია არც კი იყო საქმის კურსში თუ რა მოხდა. შევარდნაძე მათ ელაპარაკა იმ საკითხებზე, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მანიფესტანტების მოთხოვნილებებთან. მაგრამ მისი ლაპარაკის დროს დარბაზში თავი მოიყარა ასამდე სტუდენტმა(მანიფესტაციების მონაწილე), რომლებმაც შემთხვევით გაიგეს შევარდნაძის მოსვლა. როცა შევარდნაძემ სიტყვა გაათავა, მათ გააცხადეს, რომ ეს სრულებითაც არ არის შეპირებული შეხვედრა, და ითხოვეს დანიშნულიყო ზუსტი თარიღი ნამდვილი კითხვა-პასუხისათვის. რექტორი და შევარდნაძე უხეშად აწყვეტინებდნენ მათ ლაპარაკს, რისთვისაც პროტესტის მიზნით სტუდენტებმა დატოვეს დარბაზი. მათ უკან გამოყვა უნივერსიტეტის პარტორგი, რომელიც ეხვეწებოდა სტუდენტებს უკან დაბრუნებულიყვნენ ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც მოლაპარაკებოდნენ შევარდნაძეს შემდეგში შეხვედრაზე. სტუდენტები დათანხმდნენ მხოლოდ შეხვედრის საკითხზე. ეს განიხილეს უნივერსიტეტის კომკავშირის ბინაზე. შევარდნაძეს ეშინოდა მასასთან შეხვედრის და უარი განაცხადა სხვა შეხვედრის ჩატარებაზე უნივერსიტეტში. ამის მაგივრად წინადადება იქნა მიცემული შეხვედრა მოწყობილიყო ცენტრალურ კომიტეტის ბინაში, წინასწარ შერჩეული სიით. ასე, რომ შეთანხმება არ მოხდა.

18 მაისი

იმ დროს ცნობილი გახდა, რომ 1980 წლის 23 სექტემბერს დაპატიმრებული ექიმი და ისტორიკოსი ნიკოლოზ სამხარაძე გადაიყვანეს დნეპროპეტროვსკის საპატიმროს ფსიქიატრულ განყოფილებაში. ამ ცნობამ და საერთოდ 66 წლის სამხარაძის, მისი ცოლის და სამი შვილის უბედურებამ გამოიწვია დიდი მღელვარება. ქართველი ახალგაზრდების და ინტელიგენციის მოთხოვნილებებს მიემატა კიდევ ერთი: ნიკოლოზ სამხარაძის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

18 მაისს შეკრება იყო დანიშნული უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტობისა და საზოგადოებისა, რათა საერთო ხელმოწერილი გადაცემოდა ედ. შევარდნაძეს. სტუდენტები უნივერსიტეტში უნდა მოსულიყვნენ ტრანსპარანტებით, მაგრამ დილით სტუდენტებს, რომელთაც მოჰქონდათ ტრანსპარანტები—**ჩხეიძე, კოშკაძე** და **მ. ბაღდავაძე**—თავს დაესხა კაგებისტების ჯგუფი, წააგლეს ხელი და ჩაჯარეს მანქანებში და მიიყვანეს ქალაქის მეორე მხარეში მყოფ სხვადასხვა მილიციის განყოფილებებში. გაჩხრიკეს, ჩამოართვეს ლოზუნგები და მოთხოვნილებები. იმ დღესვე დააკავეს უმრავლესობა სხვებიც და საღამომდე გააჩერეს სხვადასხვა მილიციაში.

თითქმის ორას კაცამდე მაინც შეგროვდა უნივერსიტეტის ეზოში და დიდათ აღელვებულები დაჭერილების დაუსწრებლობით, მილიციის და კაგებეს დიდი რაზმებით გაყრილი იქნენ იქიდან. ზოგიერთი კი დაიკავეს. სანამ მოთხოვნილების ტექსტის წაკითხვას მოასწრებდნენ ის ხელიდან გამოგლიჯეს კაგებელებმა.

ჩხეიძე, კოშკაძე, ბაღდავაძე და სტუდენტი ქალი **ნ. კაკაბაძე** საღამოს გამოიყვანეს მილიციიდან, მანქანებით წაიფვანეს ას კილომეტრზე—თელავში. იქ ისინი მოათავსეს შინა-პატიმრობაში ინტურისტის სასტუმრო „კახეთში". გარეთ გამოსვლის უფლებას აძლევდნენ ერთი საათით, ისიც მილიციონერებისა და კაგებელების თანხლებით. ისინი იქ ამყოფეს სანამ არ დამთავრდა თბილისში ზეიმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სამოცი წლისთავის(ე.ი. საქ—ს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა ჯარების მიერ) და სანამ ბრეჟნევი არ გაემგზავრა თბილისიდან.

დაპატიმრებულთა განთავისუფლების მოთხოვნის წერილი შევარდნაძეს მაშინვე გაეგზავნა—18 მაისს. მას ხელი მოაწერა ასობით ადამიანმა. დემონსტრაცია მათ დასაცავად დანიშნული იყო 24-ში, მაგრამ ამ დღეს დაკავებულებს გამოუცხადეს, რომ თავისუფალი არიან.

18 მაისს მოთხოვნილების მეორე ცალი მაინც იქნა გადაცემული **ზვიად გამსახურდიას** მიერ. მასში მოთხოვნილი იყო: უზრუნველყოფილი იქნენ თანაბარი უფლებებით აფხაზეთის და საინგილოს ქართველები; ჩაითვალოს ქართული ენა სახელმწიფო ენად; დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს „ფსიხუშკიდან" ნიკოლოზ სამხარაძე; შეწყდეს მარტში დაწყებული სტუდენტების დევნა.

ამ ამბების ყველა მონაწილე დღემდე განიცდის დევნას. მათ იძახებენ დეკანატებში, რექტორატებში, კაგებეში, უხდენენ დაკითხვებს, ემუქრებიან. ზოგიერთებს შეთავაზეს კაგებესთან თანამშრომლობა, კარიერის გაკეთების პირობით. სამი უკვე დაითხოვეს სამუშაოდან, ხოლო კოშკაძე გამორიცხეს უნივერსიტეტიდან.

ხელისუფლება ისე იყო შეშინებული, რომ სულ რამდენიმე სტუდენტის შეხვედრა ოპერის შენობის წინ 15 აპრილს საკმარისი იყო, რომ მათ თავს დასხმოდა ას მილიციონერზე მეტი. მარტო ორი სტუდენტიც კი ერთად რომ ყოფილიყო, მოითხოვდნენ დაშლას. ასე რამოდენიმე სტუდენტი წაიყვანეს მილიციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 - 25 აპრილი

მოლაპარაკება შევარდნაძესთან დაპირებულ შეხვედრის შესახებ მიმდინარეობდა შემდეგნაირად: ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტები **ტ. ჩხეიძე** და **მ. კოშკაძემ** ილაპარაკეს ამის შესახებ უნივერსიტეტის რექტორთან და პარტორგთან. პარტორგში მათ უთხრეს, რომ შეხვედრა შეიძლება შედგეს სად, როცა და როგორც მათ სურთ. თავიდან სტუდენტებმა შეთავაზეს *20* აპრილი, მაგრამ შემდეგ ამჯობინეს შეხვედრის გადადება კიდევ რამდენიმე დღით, მაგრამ *18*-ში მათ უთხრეს, რომ შეხვედრა შედგება *20*-ში დღით. *19* კვირა იყო და ამიტომ შეუძლებელი იყო შეტყობინება უმრავლესობა დაინტერესებულ სტუდენტობისათვის. განა ყოველ დღეს არჩევენ უნივერსიტეტში მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს?! ამის გარდა სტუდენტებს უთხრეს, რომ შევარდნაძე შეხვდება მხოლოდ არადიდ ჯგუფს–*50 - 60* კაცს, რომელთა სია წინასწარ უნდა წარადგინოს ამ ორმა. გასაგებია ვისთვის იყო საჭირო ეს სია. სტუდენტებმა უარით უპასუხეს და პარტკომის პირით თხოვეს ცენტრალურ კომიტეტს გამოეცვალათ მათთვის მიუღებელი შეხვედრის პირობები. ცხრამეტ აპრილს მათ უარი უთხრეს: „თუ მათ არ სურთ ასეთი შეხვედრა, მაშინ შეხვედრა საერთოდ არ შედგება“-ო.“

„რუსსკაია მისლ“ (*3.9.1981*)

Djobadze's Library

განიარაღება თუ შეიარაღება

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საერთაშორისო სარბიელზე მუდამ ხასიათდებოდა და დღესაც ხასიათდება(ამ სფეროში განსხვავება არ არსებობს სტალინსა და მის მემკვიდრეებს შორის) ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კომპონენტით: ერთი მხრით, მაქსიმალური სამხედრო შეიარაღებისაკენ ლტოლვა და მეორე მხრით, უწყვეტი კამპანია მშვიდობის სასარგებლოდ.

როდესაც განიარაღების კომისიაში(გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მუდმივი კომისია შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში) შეთანხმებას აღწევენ რომელიმე კონკრეტულ დარგში, მაგალითად ატომურ და თერმო-ბირთვულ იარაღის დამზადებაში, მისი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება საბჭოთა მთავრობის უარის გამო დაუშვას მის ტერიტორიაზე საერთაშორისო კონტროლი. მისთვის საერთაშორისო კონტროლი შეუთავსებელია სახელმწიფოს სუვერენიტეტთან და დამოუკიდებლობასთან. საბჭოების ამ კატეგორიული უარის გამო ყოველგვარი სერიოზული გარიგება განიარაღების და უშიშროების საკითხში რჩება უქმ სიტყვებად. მას არ შეიძლება რეალური განხორციელება მოყვეს, რადგანაც საბჭოთა მთავრობის პრინციპის გატარება ნიშნავს თვითმკვლელობას დემოკრატიული ბანაკისათვის. ეს კარგად იციან კრემლის მესვეურებმაც, მაგრამ მისი პროპაგანდა მაინც დაუცხრომლად ქადაგობს, რომ საბჭოები მოწადინებულია სრული განიარაღების, მაგრამ იმპერიალისტები საერთოდ და კერძოდ ამერიკისა აწარმოებენ დამღუპველ, კაცობრიობის გამანადგურებელ ატომურ და თერმო-ბირთვულ ბომბების უსაზმნო მზადებას, რაც საბჭოთა კავშირს აიძულებს ამ იარაღების დამზადებას.

დემოკრატიული სამყაროს დაცვის პასუხისმგებელი ოფიციალური წარმომადგენლები საბჭოთა პროპაგანდით არ მოტყუვდებიან და კრემლის ხაზეინთა ჯენტმელურ განცხადებებით ვერ დაკმაყოფილდებიან, მაგრამ საქმეში კარგად ჩაუხედავ ადამიანებზე გავლენას ახდენს საბჭ. მთავრობის ეს უწყვეტი კამპანია, ხოლო ეს უკანასკნელები გავლენას ახდენენ დემოკრატიულ მთავრობებზე.

დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ უკიდურესი მემარცხენე დაჯგუფებები, რომელთათვისაც მთავარია საკუთარ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. საერთაშორისო სარბიელზე კი ესენი ომის წინააღმდეგი არიან იქამდე, რომ დაუყოვნებლივ ცალმხრივ განიარაღებას მოითხოვენ. ეს „პაციფისტები“ იშვიათი მოკავშირეებია კრემლის, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის მათ ყოველმხრივ ამხნევებს, ეხმარება და ხშირად ფარულად აქეზებს.

ატომური და თერმო ბირთვული გამანადგურებელი იარაღები ისეთი საშინელი არიან მთელი ადამის მოდგმისთვის, რომ მომავალი ომის საშიშროება სერიოზულად

აშფოთებს არა მარტო „პაციფისტ“-„გოშისტებს“, არამედ ბევრ ზომიერ პოლიტიკოსსაც და ისინიც ხშირად გავლენას განიცდიან საბჭოების განუწყვეტელ ლიტანიობისა ძვირდობისა და განიარაღების სასარგებლოდ. განა ტყუილად არის ნათქვამი: რაც გელანდებოდეს, ის გესიზმრებოდესო. ამ ხალხსაც გულით სურთ ირწმუნონ კრემლის სამშვიდობო განცხადებები, რაც მათში იწვევს ილუზიებს. ამ ილუზიების მოწმე ვიყავით უკანასკნელ 10-15 წლის განმავლობაში, ე.წ. საერთაშორისო „დეტანტის“ დროს. 1972 წ. ამერიკა საბჭოებს შორის დაიდვა „სალტ პირველად“ წოდებული ატომური იარაღის დამზადების შემზღუდველი ხელშეკრულება, რომელიც 1979-80 წლებში უნდა შეეცვალა კიდევ უფრო ვრცელ ატომურ-თერმო-ბირთვულ იარაღის დამზადების შემზღუდველ „სალტ 2“-ად წოდებულ ხელშეკრულებას, რომელსაც პრეზიდენტმა კარტერმა და ბრეჟნევმა კიდევაც მოაწერეს ხელი ქ. ვენაში, 1979 წელში, მაგრამ ამერიკის სენატმა მისი რატიფიკაცია შეაჩერა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა ჯარების შეჭრა ავღანეთში.

ამავე დეტანტის პერიოდში გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობამაც შეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა ე.წ. „ოსტ-პოლიტიკით“, რომელიც გამოიხატა საბჭოთა კავშირთან და მის თანამგზავრ სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიურ, კომერციალურ და კულტურულ დაახლოებაში. ამას მოჰყვა საბჭოთა მთავრობის დიდი ხნით ნანატრი „ევროპის უშიშროების, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის“, ე.წ. ჰელსინსკის ხელშეკრულება 1976 წელში.

ამ უჩვეულო დეტანტის იდეიის უნდო, მაგრამ უძღური მაყურებელი იყო ყველა ის ვინც გამოცდილია საბჭოთა რეჟიმის ბუნებასა და ხასიათში. კრემლი სულ მუდამ მზადაა მოლაპარაკებაზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებებზე. ამ მოლაპარაკებებით ის აჩლუნგებს მოპირდაპირის წინააღმდეგობის ენერგიას, ხელშეკრულებით სარგებლობს სანამ ეს მისთვის ხელსაყრელია, თუ არადა ის მისთვის უბრალო, ფარატინა ქაღალდია, რომელსაც ისტორიის სანაგვე ყუთში გადაუძახებს. ის ერთგულია ლენინის სწავლების: „მიზანი ამართლებს საშუალებებს.“ აბა, რა მნიშვნელობა აქვს სიტყვის გატეხას კაპიტალისტურ მთავრობებთან, როცა საბოლოო მიზანია სწორედ მათი დასამარება და სოციალისტური(უფრო სწორად კომუნისტური) წყობილების გაბატონება.

ამ დოქტრინას არც ბრეჟნევმა უღალატა. საერთაშორისო დეტანტის ეს უკანასკნელი ათი წელი მან არც ისე ცუდად გამოიყენა. დასავლეთის სახელმწიფოებისგან მან მიიღო ათეულ მილიარდ დოლარის გრძელვადიანი და ხელსაყრელი კრედიტები, რითაც იძენდა მოწინავე ტექნიკის იარაღებს, ფაბრიკა-ქარხნებს, მარცვლეულს და სხვას.

როგორც იქნა დასავლეთი გამოერკვა დეტანტის ტკბილი ძილიდან და თვალწინ საშიში სურათი წარმოუდგა. თურმა(თურმე, რადგანაც ამ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ მხოლოდ ახლა გამომჟღავნდა) სწორედ ამ ყბადაღებულ დეტანტის დროს საბჭოთა კავშირს უწარმოებია ისეთი ინტენსიური შეიარაღება, როგორიც არასდროს და ამის წყალობით მისი სამხედრო ძლიერება ამჟამად აჭარბებს ამერიკის შეერთებულ შტატებისას. ატყდა განგაში, რათა „ოტანის“ ბლოკის სახელმწიფოებმა საბჭოთა ბლოკის სამხედრო უპირატესობას გაძლიერებული შეიარაღებით უპასუხოს. ამ დღეებში „პანტაგონმა“ (ამერიკის სამხედრო ძალების მთავარი შტაბი და თავდაცვის სამდივნო) გამოსცა ას გვერდიანი წიგნაკი, რომელშიც მოცემულია საბჭოთა შეიარაღების რიცხობრივი მაჩვენებლები. ამ ოფიციალური დოკუმენტის მოკლე შინაარსი ასეთია:

საბჭოების სახმელეთო არმია ითვლის 1.820.000 მეომარს, რომლებიც შეადგენენ 180 დივიზიას. ის წლიურად უშვებს 3.000 ტანკს და 5.500 სხვა ჯავშნოსანს. ამერიკის შ. შ. არმია სულ ითვლის 788.000 ჯარისკაცს, 1980 წელში მან გამოუშვა 650 ტანკი, სულ მის არმიას გააჩნია 11.400 ტანკი, მაშინ, როცა საბჭოთა არმიის განკარგულებაშია 50.000 ტანკი.

ა ვ ი ა ც ი ა: 1980 წელში საბჭ. კავშირმა გამოუშვა 2765 საბრძოლო თვითმფრინავი, ამერიკამ კი მხოლოდ 275. შორ მანძილზე სამოქმედოდ საბჭოთა ჯარების განკარგულებაშია 5.000 საბრძოლო თვითმფრინავი მაშინ, როცა ამერიკას ჰყავს 3.200.

სამხედრო საზღვა ფლოტი: 1980 წელში საბჭოებს აუგიათ 11 წყალქვეშა გემი, 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტონაჟის და 52 მცირე ტონაჟის წყლის ზედაპირის სამხედრო გემი და საშუალოდ ასეთი რაოდენობით უშვებს 1976 წლიდან მოყოლებული. ასეთი მასიური მშენებლობის წყალობით 260 სამხედრო გემიდან, რომლებიც საბჭოთა სამხედრო ფლოტს გააჩნდა 1965 წელში, დღეისათვის მიაღწია 362 ერთეულამდე. ამასთან ერთად საბჭოთა საზღვაო საჰაერო ფლოტი ითვლის 1440 თვითმფრინავს. პანტაგონის ამ ცნობების მიხედვით საბჭოებს ყავთ 377 წყალქვეშა გემი ყველა შეიარაღებული ატომური ბომბის რაკეტებით, ამათგან 60 წყალქვეშა გემი მოძრაობს ატომური ენერგიით.

სტრატეგიული შეიარაღების მხრით, 1978 წლიდან მოყოლებული ს.ს.რ.კ- ყოველწლიურად ამზადებს 200 კონტინენტურ რაკეტას, რომელსაც ემატება 175 წყალქვეშა გემის რაკეტა, 100 საშუალო სიშორის, 1500 მიწის ზედაპირი–ჰაერის და 50 000 თვითმფრინავების საწინააღმდეგო.

კონტინენტური გამანადგურებელი ატომური და თერმო-ბირთვული იარაღების მხრით ამჟამად თითქმის წონასწორობა ჩანს ამერიკასა და ს.ს.რ.კ.-ს შორის, მაგრამ დღევანდელი კადანსით უკანასკნელს აქვს შესაძლებლობა ამ დარგშიაც უკან ჩამოიტოვოს ამერიკა.

ამ მომაცემებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1) სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობა დეტანტს თხოულობდა და შეიარაღების შეზღუდვაზე ხელშეკრულებებს ხელს აწერდა, ის ფარულად აწარმოებდა ყველაზე ძლიერ შეიარაღებას.

2) ამ უკანასკნელ წლებში საბჭოების სამხედრო უპირატესობა განსაკუთრებით თავს იჩენს შეტევითი ბრძოლების იარაღებში: ტანკები, შორეული რადიუსის ავიაცია, წყალქვეშა გემები, რაც იმისკენ მიგვითითებს, რომ კრემლი თავდაცვის ომისთავის კი არ ემზადებოდა, როგორც ის ირწმუნება, არამედ შეტევითი ომისათვის.

პრეზიდენტ რეიგანის მთავრობა თითქოს ასწორებს მისი წინამორბედების შეცდომებს. პირველ რიგში ის აძლიერებს ამერიკის სამხედრო შეიარაღებას. ამასვე მოითხოვს მოკავშირეებისგან. პლანეტის ყველა კუთხეში ეხმარება და ამხნევებს ყველა ძალებს, რომლებსაც ემუქრებათ საბჭოთა და კომუნისტური საფრთხე და ამავე დროს კრემლთან მოლაპარაკებას არ ჩქარობს. სანამ სამშვიდობო მოლაპარაკებას დაიწყებდეს, რეიგანი საბჭოთა ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს პატივი სცენ ამ მშვიდობას საქმით.

ოქტომბერი 1981. გ. ლუბაშვილი

პ ო ლ ო ნ ე თ ი ს კ რ ი ზ ი ს ი

პოლონეთს კვლავ პირველი ადგილი უკავია საერთაშორისო ამბებს შორის. ერთ წელზე მეტია, რაც გდანსკის მუშათა გაფიცვებმა იფეთქეს და რამაც სწრაფად მთელი პოლონეთი მოიცვეს. მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების განუწყვეტელი მუქარისა, პოლონეთის რევოლუცია ჯერ-ჯერობით უსისხლოა. თუმცა ის ჯერ კიდევ შუა გზაზეა სწორედ საბჭოთა მოლოხის მუქარის გამო, მაგრამ მის მიერ გავლილი გზა მნიშვნელოვანია და მისი უკან ჩაბრუნება თითქმის შეუძლებელი ჩანს. დღეს პოლონეთში უკვე არსებობენ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პროფკავშირები **სოლიდარობის** სახელწოდებით. ამ დღეებში მიმდინარეობს მისი დამფუძნებელი ყრილობა. სოლიდარობა მარტო წმინდა სოციალური დაწესებულება კი არ არის, არამედ ის სახელმწიფოა სახელმწიფოში, ის იმავე დროს ოპოზიციური დაჯგუფებაა, რომელიც ათ მილიონ წევრს ითვლის და რომელიც ღეგაღურად მსოფლიოს წინაშე მოქმედებს. ეს აქამდე გაუგონარი ამბავია კომუნისტური ქვეყნებისათვის.

სოლიდარობის ეს პირველი ყრილობა თავის დადგენილებებში პროფკავშირების სამოქმედო არეს მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით კი არ ფარგლავს, ის ამავე დროს მოითხოვს: თავისუფალ დემოკრატიულ საპარლამენტო არჩევნებს, წარმოებებში რეფერანდუმებს ავტომართველობის შესახებ, კანონპროექტების წარდგენის უფლებას, ინფორმაციის კონტროლში მონაწილეო-

ბას და სხვა. ყრილობამ მოწოდებით მიმართა კომუნისტური ქვეყნების მუშებს, რომ მათაც თავ-თავიანთ ქვეყნებში ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი პროფკავშირები.

მთელი მსოფლიოს თვალწინ და გასაგონად, სოლიდარობის ამ ყრილობაზე გამოსული დელეგატები გმობენ პოლონეთში დღემდე არსებულ სოციალიზმს, რაც ამავე დროს საბჭოთა წესწყობილების დაგმობასაც ნიშნავს. მაგალითად ჭრილობის დელეგატი, პროფესორი ლიპინსკი, რომელიც *93* წლისაა და სოციალისტური პარტიის წევრია *1906* წლიდან, თავის გამოსვლაში აცხადებს:

„სოციალიზმი უნდა ყოფილიყო ეკონომიურად უკეთესი კაპიტალისტურზე, იქ უნდა ყოფილიყო მეტი თავისუფლება ვიდრე კაპიტალიზმში, ეს უნდა ყოფილიყო მუშათა კლასის განთავისუფლება, ეს უნდა ყოფილიყო ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც თვითოეულ პიროვნებას შეეძლებოდა სრული განვითარება და შეძლებოდა თავისუფლად მიეღწია კულტურისა და ცივილიზაციის საუნჯემდე. ამის მაგივრად შექმნეს სოციალიზმი ეკონომიურად არაეფექტური, ბედოვლათური და მფლანგავი, ისეთი სისტემა, რომელსაც მივყავართ არა კრიზისისაკენ, არამედ ეკონომიკურ კატასტროფისაკენ–ისეთი კატასტროფისაკენ, რომელსაც მსგავსი არ მოეძებნება ამ უკანასკნელ *100 - 200* წლის განმავლობაში. საჭიროა გავიხსენოთ კამბოჯი, სადაც სოციალისტურმა რეჟიმმა დახვრიტა სამ მილიონ ნახევარი ადამიანი, რომ დაეცვა ეს სოციალიზმი! ეს სოციალიზმი ციხეების, ცენზურების და პოლიციის. ამ სოციალიზმმა ჩვენ გაგვანადგურა *30*-ზე მეტი წლის განმავლობაში, როგორც მან გაანადგურა სხვა ერები!...“ „ჩემთვის, განაგრძობს მომხსენებელი, სოციალიზმი, ესაა ბრძოლა დემოკრატიული ეკონომიკისათვის, წარმოების საშუალებების კოლექტიური საკუთრებისათვის,–არა სახელმწიფო საკუთრება ახალი კერძო მესაკუთრეთა ჯგუფით, რომელიც განაგებს წარმოების საშუალებებს. ჩემთვის, სოციალიზმი, ესაა ბრძოლა ქარხნების დემოკრატიული მმართველობისათვის, პოლიტიკური თავისუფლებისათვის, რომლებიც ყველა სოციალიზმის მიზნებს შეადგენენ, ცენზურის გაუქმებისათვის, შესაძლებლობისათვის, რათა მთლიანად განვითარდეს პოლონელი ერი. და ნუთუ ეს იქნება ანტი-სოციალისტური და ანტი-რევოლუციური ძაღები?! **არა, ეს მათი სოციალიზმია ანტი-რევოლუციური და ანტი-სოციალისტური.**“

ამ ერთ საუკუნეს მიტანებულ გულგაუტეხელ სოციალისტის სიტყვის ასე გრძელი ამონაწერი იმისთვისაც მომაქვს, რომ ვაჩვენო ის დიდი გამბედაობა და პირდაპირობა, რომლითაც ხასიათდება დღევანდელი პოლონეთი. დიახ, მხცოვანი პროფესორი ლიპინსკი იშვიათი გამონაკლისი არ არის დღევანდელ „სოლიდარნოსკ“-ს პოლონეთში, არამედ სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ხმები საბჭოთა რუსეთის რეჟიმისა და მისი იმპერიალიზმის დამგმობი, რაც ერთერთი დიდი ნიშანია პოლონეთის რევოლუციის, მისი ეროვნული ემანსიპაციის წარმატებისა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ მთავარია დაითრგუნოს პოლიციური რეპრესიების პირუტყვული შიში, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები საჯაროდ არ მლიქვნელობდნენ, არ თვალთმაქცობდნენ, არამედ აშკარად აცხადებდნენ თავიანთ გულისნადებს, თუნდაც ამისთვის მათ ციხეები ელოდეთ. და მე ბედნიერი ვიქნები იმ დღეს, როცა საქართველოშიც გავიგონებ ისეთ საჯარო გამოსვლებს, როგორებსაც ადგილი აქვს პოლონეთში. დღეს ჩვენმა ახალგაზრდობამ სიდან ან ვისგან უნდა მოისმინოს სისხლის ამაჩქროლებელი და აღმგზნები სიმართლე თავისუფლებაზე, როცა მას მხოლოდ ესმის, როცა ის მხოლოდ კითხულობს შევარდნაძეების ჩვენი სამშობლოს სასტიკი მპყობელებისადმი მლიქვნელობით ავსილი სულმდაბალი სიტყვების კორიანტელს.

ამ მცირედი გადახვევის შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს–პოლონეთის რევოლუციას. მე მგონია ყველა კეთილი ნების ადამიანი დამეთანხმება, რომ პოლონეთის რევოლუციის ხანგრძლივობა, მარტო ის ფაქტი, რომ „სოლიდარობის“ კავშირი არსებობს და საქმიანობს, ძირს უთხრის და ასუსტებს რუსეთის საბჭოთა რეჟიმს. ერთი წელიწადია, რაც მსოფლიო სულგანაბული ელის თუ როდის შეიჭრებიან პოლონეთში საბჭოთა ტანკები და ისევე, როგორც უნგრეთში(*1956* წ.) და ჩეხოსლოვაკიაში(*1968* წ.) აქაც ჩააჩუმებენ თავისუფალ ხმებს, მოახდენენ სამარცხვინოდ სახელგანთქმულ „ნორმალიზაციას“. ერთ წელზე მეტია, რაც გვესმის კრემლის ბებერი ლომისებური კბილების ღრჭენა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმუილი, პოლონეთის საზღვრებთან გამართული სამხედრო მანევრები და იარაღის ბრძოლა, მაგრამ ბებერი დათვი წელს ვერა და ვერ ითრევს, მუქარა სისრულეში ვერ მოყავს. ეს არა იმიტომ, რომ ბრეჟნევის და მისი პოლიტბიუროს წევრების გულებში ჰუმანიზმმა გაიღვიძა, რომ მათ პოლონელი ხალხის ტრაგედია ანაღვლებთ, არამედ მათი ყოყმანი და გაუბედაობა ემყარება მათ ცივ გონების მოსაზრებებს. შევეცადოთ აქ ჩამოვთვალოთ ეს მოსაზრებები:

1. როცა ანალოგიას ვაკეთებთ პოლონეთის დღევანდელ მდგომარეობასა და წარსულში უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რევოლუციებს შორის, ჩვენ ჩვენს აზროვნებაში ხშირად მხედველობიდან ვუშვებთ იმ ფაქტს, რომ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. კრემლი უკვე *1956* წელში იძულებული იყო დათმობა გაეკეთებია პოლონეთისათვის ეკლესიისა და სხვა შინაური ავტონომიის დარგებში. არ დაგვავიწყდეს: პოლონეთი *35* მილიონიანი ძველი კულტურის და დიდი ისტორიის ერია, კათოლიკურ ეკლესიის მიერ დასავლეთის ცივილიზაციასთან მჭიდროდ გადაჯაჭვული. მისი მონელება ისე ადვილი არ არის, როგორც მაგალითად ბულგარეთისა. სამაგიეროდ ამ დათმობებისა კრემლმა მიიღო გარანტია გომულკას მთავრობისაგან, რომ პოლონეთი ერთგული მოკავშირე დარჩებოდა საბჭოთა რუსეთის. ამ ერთგულებას თვით პოლონეთის გეო-პოლიტიკა ამაგრებს. გერმანიის საფრთხისაგან თავის დასაცავად პოლონეთს ესაჭიროება რუსეთის მხარდაჭერა. თვით რუსებისადმი მტრულად განწყობილი პოლონელებიც ვერ უგულებელყოფენ პოლონეთის ამ სახელმწიფო ინტერესებს. ეს კარგად იცის კრემლმა, რაც მის შიშს და უნდობლობას ანელებს. უნდა ითქვას, რომ ამ მხრით საბჭოთა მესვეურებს არა აქვთ სერიოზული საბაბი შეშფოთებისა. თვით „სოლიდარობა“,როგორც ორგანიზაცია, თავის საჯარო განცხადებებში ერთგული რჩება საბჭოთა ბლოკის, სადაოდ არ ხდის სოციალიზმის პრინციპებს და, ყოველშემთხვევაში ჯერ-ჯერობით, არ ემუქრება მოსკოვის მიერ შექმნილ პოლონეთის კომუნისტურ მმართველობას, მაშინ როცა უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის რევოლუციებს ანტი-საბჭოთა, დასავლეთის ორიენტაციის მქონე ადამიანები მოექცნენ სათავეში, რამაც კრემლი დააყენა საბედისწერო არჩევნის წინაშე. აქედან ცხადია: თვით აჯანყებულ პოლონელთა წრეებშიც რუსებს ამჟამად ჰყავთ ერთგული პოლიტიკური თანამებრძოლები, საბჭოთა ჯარების შეჭრა და პოლონეთის სამხედრო დაპყრობა სამუდამოდ გააცივებდა და მტრად გადაიკიდებდა ყველა პოლიტიკური მრწამსის პოლონელს.

2. საბჭოთა კავშირს, სანამ სამხედრო ინტერვენციას გადაწყვეტდეს, გააჩნია უზარმაზარი ეკონომიკური შესაძლებლობები პოლონეთის მოსათოკავად და გონზე მოსაყვანად. ისინი პოლონეთს ამარაგებენ ნავთის *80* პროცენტს, ბუნებრივი გაზის ასევე *80* პროც. რკინის მადნის *70* პროცენტს, დიდი რაოდენობით ბამბას და სხვა მრავალ ნედლეულს, რომელთა მიწოდების შეწყვეტა გამოიწვევდა პოლონეთის სრულ ეკონომიურ ასფიქსიას.

3. სამხედრო ინტერვენცია პოლონეთში მდგომარეობას ვერ გამოასწორებდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ თუ მთლიანად არა, ნაწილი მაინც პოლონეთის სახალხო არმიისა იბრძოლებს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. საბჭოებს დასჭირდებათ დიდი ძალების გამოყენება, ხოლო როცა ბრძოლა დამთავრდება, აფეთქებები და საბოტაჟები გაგრძელდება დიდხანს, რაც შეასუსტებდა ვარშავის ბლოკის ჯარების ბრძოლიუნარიანობას, დაემუქრებოდა მის სატრანზიტო და სტრატეგიულ პუნქტებს.

4. საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის ოკუპაციას ექნება უაღრესად ცუდი გავლენა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. ის გამოიწვევს დასავლეთის სახელმწიფოების ბოიკოტს, განსაკუთრებით პრეზიდენტ რეიგანის მთავრობის აქტიური საერთაშორისო პოლიტიკის პირობებში კრემლს აღარ შეიძლება ამ მხრით იღუნიები ჰქონდეს.

5. პოლონეთის სამხედრო დაპყრობა საბოლოოდ დაასამარებდა საბჭოების მიერ გაჩაღებულ კამპანიას, რათა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა უარი თქვან ახალ ატომურ და ნეიტრონულ იარაღებზე. გერმანიაში, ჰოლანდიაში და ინგლისში გაჩაღებული „პაციფისტური“ მოძრაობები, კრემლს ამ მხრით იმედებს უღვიძებს. კრემლი დიდი ხანია ელოლიავება ფედერაციული გერმანიის „ფინლიანიზაციის“ იდეას. თუ ეს უკანასკნელი ხორცს შეესხმება, მაშინ შესაძლებელია, რომ კრემლი პოლონეთის საწინააღმდეგო „ფინლიანდიზაციაზეც“ დათანხმებულიყო.

6. კრემლი უეჭველად იმედს ამყარებს თვით პოლონელების იმედის გაცრუებაზე. როგორც უკვე ავღნიშნეთ, პოლონეთის რევოლუცია შუა გზაზეა გაჩერებული. ... ტად სახიფათოა ყოველი რევოლუციისათვის. „სოლიდარობას“ არ გააჩნია არც პოლიტიკური და არც ეკონომიური ბერკეტები. არავინ არ დავობს, რომ მთავარი მიზეზი გდანსკის მუშათა აჯანყებისა იყო სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა, სიძვირე და საერთოდ მძიმე ეკონომიური და შრომის პირობები, მაგრამ მას შემდეგ პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება, როგორც საბჭოთა ისე თვით პოლონეთის ოფიციალური პროპაგანდა ამაში ბრალს დებს სოლიდარობის ანარქიულ საქმიანობას, რომელიც ხშირ გაფიცვებში გამოიხატება. საბჭოები იმედოვნებენ, რომ რაც უფრო ეკონომიური მდგომარეობა პოლონეთის გაუარესდება, მით უფრო მშრომელებს გული გაუცივდებათ სოლიდარობის ორგანიზაციის მიმართ, მის რიგებს დატოვებენ, მათ გადაწყვეტილებებს მასიურად აღარ დაემორჩილებიან და ამრიგად დასუსტებულ პოლონეთის რევოლუციას თვით პოლონელი ორტოდოქსი კომუნისტებიც ბოლოს მოუღებენ.

7. დაბოლოს, პოლონეთის სახელმწიფო ბანკრუტის მდგომარეობაშია. უკანასკნელი ცნობებით მისი ვალი დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებისადმი 27 მილიარდ დოლარს აღწევს და წლის ბოლოსთვის 30 მილიონ დოლარს გადააღიღებს. საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის დაკავების შემთხვევაში გაკოტრებული პოლონეთი მთლიანად აუტანელ ტვირთად დააწვებოდა ისედაც დავარდნილ საბჭოთა ეკონომიკას. ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო.“ იქნებ ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი კრემლის თავშეკავებულობისა პოლონეთის მიმართ.

მე მგონია ესენია ის მთავარი მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავენ ბრეჟნევის მთავრობის პოლიტიკას პოლონეთის კრიზისის მიმართ. ამ კრიზისის დაძლევა თუ განვითარება დიდათაა დამოკიდებული დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკაზე. თუ ისინი საბჭოთა მთავრობის ძალის პოლიტიკას გაბედულად ძალას დაუპირისპირებენ და არ აყვებიან ძველ სირენებს, რომლებიც უმღერიან დათმობებით მშვიდობის ყიდვას. ავღანეთი საუცხოო მაგალითია საბჭოთა რეჟიმის ექსპანსიის მარცხისა; ამერიკის შ. შტატების და საერთოდ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების გონივრული პოლიტიკით, პოლონეთი შეიძლება საბჭოთა რეჟიმის ვატერლოოდ გადაიქცეს.

სექტემბერი 1981. გ. წერეთელი

ქართული ისტორიოგრაფია

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფაქტთა და მოვლენათა ტენდენციური ინტერპრეტაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და ის ძლიერდება, რამდენადაც ახალი ხანისაკენ მივდივართ. არის სხვა უცნაურობანიც, რომლის ერთ მაგალითს ვხედავთ „საქ–ს ისტორიის ნარკვევების მეხუთე ტომში. საქ–ს სინამდვილის შეფასებაში ბევრი რამ დავას არ იწვევს. რადგან ფაქტიურ რეალობას ვერ სცვლის ამა თუ იმ კონცეპციით მიდგომა.

ამ ტომში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მთავარი საკითხი ეპოქისა: რუსეთის ბატონობა საქართველოში. ჩვენმა ისტორიკოსებმა ძალიან კარგად იციან ისტორია. კარგად იცნობენ რუსეთის ბატონობის ხასიათსაც და მის საბოლოო მიზნებსაც. ამიტომ სიმართლესაც მთლად ვერ ღალატობენ და იძულებულნი არიან ის აღიარონ, რადგან ეს სიმართლე აღნუსხულია საბუთებში და მათი მიჩქმალვა შეუძლებელია. ხოლო, ვერც წითელ რუსებს აწყენინებენ. საკმარისია, რომ ჯელაფერი ძველი მეფის რუსეთს გადააბრალო და ამით ახალი რუსეთი ხსნილია ცოდვებისაგან!--- მაგრამ მდგომარეობიდან ამით ვერ გამოვდივართ. რადგან იციან, რომ წითელი რუსებიც რუსები არიან და გულის სიღრმეში არც მათ მოსწონთ, რომ ძველი რუსეთი სასტიკად გააშავოთ. ჩვენი ისტორიკოსები აქაც გამოსავალს ნახულობენ: რუსეთის ჯელა სისაძაგლეების აღწერის შემდეგ აკეთებენ ასეთ დასკვნას, რომ მიუხედავად ყველა ამისა, რუსეთმა საქართველოს მაინც ბედნიერება მოუტანაო!

მინდა ზოგიერთი ამონაწერით შევაწუხო მკითხველი, ისეთებით, რაც შეეხება რუსეთის ბატონობის დახასიათებას და რაზედაც ჩვენ ორივე ხელს მოვაწერდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ.459. რუსეთის იმპერია „წარმოადგენდა ხალხთა საპყრობილეს, სადაც გამეფებულიყო არარუს ხალხთა ჩაგვრის, შევიწროების და ძალდატანებითი ასიმილიაციის კოლონიური პოლიტიკა.“

გვ.19. „...ეროვნულ კოლონიურმა ჩაგვრამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია 80 - 90 წლებში, როცა თვითმპყრობელობა აშკარად ცდილობდა ქართული კულტურის საბოლოოდ მოსპობას და ქართველობის ძალდატანებით ასიმილიაციას.“

გვ.460. „ალექსანდრე მესამის რეაქციული მთავრობა აღარ ცნობდა საქართველოს და კავკასიის რაიმე თავისებურებებს. იგი აშკარად დაადგა ქართველი ხალხის სრული ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ქართული კულტურის საბოლოო მოსპობის გზას.“

გვ.642 „ცარიზმი შუღლს თესავდა ჩაგრულ ერთა შორის, ერთმანეთს უსევდა მუსულმანებს და ქრისტიანებს, აწყობდა ებრაელთა რბევა-აწიოკებას. ცარიზმი ველიკოროსებს რჩეულ რასად, სლავური სამყაროს გაერთიანების მესვეურად მიიჩნევდა, ხოლო იმპერიაში შემავალ პატარა ერებს უყურებდა როგორც დაბალ და არასრულფასოვან რასას, უსპობდა მათ მშობლიურ ენას, ახდენდა ქვეყნის ახალ ადმინისტრატიულად დაყოფას იმ მიზნით, რომ ხსენებაც მოესპო რუსეთის იმპერიის მთელი რიგი ერებისა, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდათ....“

გვ.644 რუსები „საგანგებო ღონისძიებებსაც ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურის და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად...“

ეს ამონაწერები მხოლოდ ნამცეცებია 866 გვერდიან წიგნიდან. ყველა იმ უბედურობის შემდეგ, რაც რუსებმა საქ–ს თავს დაატეხეს და, რომ მის სრულ ეროვნულ მოსპობას ემუქრებოდნენ, თურმე სასწაულიც მომხდარა! ქართველმა ერმა თავისი ეროვნული სახე შექმნა მაშინ, როდესაც რუსის ხსენება ჯერ კიდევ არ არსებობდა ბუნებაში, მაგრამ ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებაში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას დიდი როლი უთამაშია!

გვ.459. „ქართველი ეროვნების ბურჟუაზიულ ერად გადაქცევის პროგრესიულ-ისტორიული პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა საქ–ო მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამდენად რუსეთთან საქ–ს შეერთებას პროგრესიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის მაშინდელი და მომავალი განვითარებისათვის.“

თუმცა ჩვენი ისტორიკოსები იმასაც წერენ, რომ: „ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსები ყველანაირად აზვიადებდნენ მეფის მთავრობის „ცივილიზატორულ“ როლს, ცდილობდნენ ყველა დადებითი მოვლენა მისი პოლიტიკის ნაყოფად გამოეცხადებინათ, მიეჩქმალათ ადგილობრივი ძალების დამსახურება ქვეყნის პროგრესიულ განვითარებაში.“(გვ.26)

და ბოლოს უკანასკნელი პარადოქსი :

გვ.837. „ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის მიუხედავად მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთი იყო არა მარტო მფარველი საქართველოსი, არამედ განათლების წყაროც.“ როგორ გნებავთ შეაფასოთ ასეთი უცნაურობა !

რუსეთმა საქ–ს ანექსია მოახდინა. გააუქმა მისი სამეფო. სამეფო ოჯახი რუსეთში გადაასახლა. მოსპო ყოველგვარი ნასახი საქ–ს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. დახურა ქართული სკოლები. მოსპო ქართული ენა ახლად დაარსებულ რუსულ სკოლებსა და ყველა დაწესებულებებში. ჯვარით ხელში შემოსულმა, გაძარცვა ქართული ეკლესია და იქ დაგროვილი ერის ქონება რუსეთში გაზიდა. ფაქტიურად საქართველო აქცია რუსეთის ორ გუბერნიად, მაგრამ ის რუსეთის გუბერნიებს კი არ გაუთანაბრა, არამედ დაამყარა რეალურად კოლონიური წესრიგი, წესრიგი ძარცვა-გლეჯისა და ქვეყნის ექსპლოატაციისა. ქართული ენის გაუქმებასთან ერთად შეუდგა მოსპობას ქართული კულტურის ყოველგვარი გამოვლენისა. საქ–ში ასახლებდნენ რუსებს, რომ ადგილობრივ პროპორციულად ქართველთა რიცხვი შეემცირებიათ და ამით გაეადვილებინათ ქართველების გარუსების საქმე. ქართველობას სხვადასხვა ხერხით ხელიდან აცლიდნენ მიწებს და ჩამოსახლებულ რუსებს ურიგებდნენ... მოკლედ, გარდა ეროვნული გადაგვარებისა ქართველ ერს ფიზიკური განადგურებითაც ემუქრებოდნენ და შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოსათვის არც ერთ დამპყრობელს იმდენი ზიანი არ მიუყენებია რაც რუსეთმა მიაყენა. და თუ რუსეთის ბატონობის დროს საქ–ს რამე შეუქმნია ან ქმნის დღესაც, ეს არის მხოლოდ

ქართველი ერის დაუღალავი შემოქმედებითი შრომისა და გარჯისა. არაბთა ბატონობის დროს ქართველები მრავალ ეკლესია მონასტრებს აშენებდნენ. იქნებ ესეც მუსულმან არაბების წყალობით ხდებოდა!? ჩვენი ოქროს ხანაც მაშინ მზადდებოდა. თუმცა ისიც ბუნებრივია, რომ დამპყრობელ და დაპყრობილ ერთა შორის ხდება ერთგვარი ურთიერთ კულტურული გავლენა, მაგრამ არც ეს და არც სხვა რაიმე სარგებელი არ ამართლებს დაპყრობის ფაქტს და დამპყრობელის მოქმედებას.

რუსეთის პოლიტიკა საბოლოოდ იქით მიიმართებოდა, რომ მას უნდა მოესპო ქართველი ერის ხსენება და თურმე ის ყოფილა მფარველი საქართველოსი!... მაგონდება ერთი ფრანგული კომედია: ფრანგის გენერალი მიდის ჯარის ერთ კომპანიაში ინსპექციაზე. ამ ნაწილის უფროსად არის ამავე გენერლის სკოლის ყოფილი ამხანაგი. ერთმა რომ გენერლობას მიაღწია, მეორე ძღივს კაპიტანი გახდა. გენერალმა ყველაფერი დაათვალიერა და ყველგან დიდი უწესრიგობა ნახა. კაპიტანი იყო ერთი დარდიმანდი, და მთელი დღე ქუჩის ქაღალს დასდევდა. ჯარი მიტოვებული იყო თავის თავის ამარად. ყველა აკეთებდა იმას რაც მას სურდა, ამიტომ ჯარისკაცებს კაპიტანი ძალიან უყვარდათ. გენერალმა ყველაფერში შენიშვნა გაუკეთა თავის ძველ მეგობარს. ყველაფერი დაუწუნა და გამომშვიდობების დროს მეგობარს ხელი გადახვია და უთხრა: ჩემო ძვირფასო მეგობარო რაც მე ვნახე ცალ-ცალკე ყველა დასაგმობია, მაგრამ ერთად აღებული ყველაფერი რიგზეაო!---

***

მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფრის ცარისტული რუსეთისადმი გადაბრალებით სურთ ერთნაირად წითელი რუსეთის გათეთრება, ამით სინამდვილის დაფარვა მაინც შეუძლებელია: წითელი რუსეთი იმასვე აკეთებს რასაც ცარისტული რუსეთი.

1. ცარისტული რუსეთის გეგმაში შედიოდა რუსიფიკაციის მიზნით საქ–ში რუსობის ჩამოსახლება. ამას აკეთებენ ბოლშევიკებიც, უფრო მოხერხებით და უფრო ფართოდ. მაგ. *1926* წლის აღწერის მიხედვით საქ–ში ცხოვრობდა ორმოცდაათი ათასი რუსი, ხოლო *1959* წლის აღწერის მიხედვით *500* ათასი. მაშასადამე *33* წლის განმავლობაში საქ–ში ჩამოუსახლებიათ *450* ათასი რუსი. ჩამოსახლება თუ ამ პროპორციით გრძელდებოდა, დღეს ეს რიცხვი უფრო დიდი უნდა იყოს. ხშირად გვეტრაბახებიან, რომ დღეს საქართველოს სატახტო ქალაქის მოსახლეობა შეადგენს ერთ მილიონს. სანდო წყაროებიდან ვიცით, რომ *18* პროცენტს რუსები შეადგენენ, ე.ი. *180* ათასს. რუსების ასეთი პროპორცია ცარიზმის დროსაც არ ყოფილა, მაშინ როდესაც მთელ ადმინისტრაციას რუსობა შეადგენდა.

2. ძველი რუსეთი ჩვენს ეკლესიებს ძარცვავდა. ახალმა რუსეთმა დასაწყისშივე დაიწყო მათი ნგრევა და სამღვდელოების გადასახლება.

3. ძველი რუსეთი მოხერხებულად ქართველებს მიწას აცლიდა ხელიდან. ბოლშევიკურმა რუსეთმა ის სულ წაართვა და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, ეს სახელმწიფო კი რუსეთია.

4. ძველი რუსეთი დევნიდა ქართულ ენას. მან ის განდევნა სკოლებიდან, ადმინისტრაციიდან და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ბოლშევიკები იმავე მიზანს ახალი მეთოდებით ანხორციელებენ. რევოლუციამ თითქოს საშუალება მისცა ყოველ ერს იმპერიისა, თუ არა პოლიტიკური, კულტურულად მაინც თავისი ეროვნული სახე შეენახა. ცალკე რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც ადგილობრივი ენები აღიარა სახელმწიფოებრივ ენებად. თუმცა აქაც იყო ცდა ეს მუხლი ამოეგდოთ და ნელ-ნელა რუსული ენა დაეკანონებიათ ყველასათვის, რაც ამჯერად დამარცხებით გათავდა. მაგრამ მიზანი კი მათ არ მოუშლიათ. გარუსების საბოლოო გამარჯვებისათვის აქ მოიშველიეს იდეოლოგიური ფაქტორი და ამით ცდილობენ ხალხის თვალის ახვევას. ბოლშევიკური თეორიით, როდესაც კომუნიზმი დამყარდება მთელი ხალხი ერთ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს, ეს ენა კი იქნება „უფროსი ძმების", რუსების ენა(და რატომ არა მათზე უფროსის, ჩინელების ენა!). ამ პრინციპიდან გამოსული, ყოველმხრივ ავიწროებენ ქართულ ენას და ამ მხრივ ბოლშევიკებს მეტი მიღწევები აქვთ ვიდრე ძველ რუსეთს. ამას ადასტურებენ ყოველდღიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ფაქტები: ქართველი ერის შეუპოვარი წინააღმდეგობისა და ბრძოლა სამშობლოსა და კულტურისათვის. რამდენადაც ძლიერია წნევა, იმდენადვე ძლიერია წინააღმდეგობა. ძველად თუ პიროვნებები იბრძოდნენ ამისთვის, დღეს იბრძვის მთელი ღეგიონი ქართული კულტურული საზოგადოებისა და მწამს, რომ აქაც საბოლოოდ ქართველი ერი-საა გამარჯვება.

5. მრავალთაგან უკანასკნელი მაგალითით მინდა დავამთავრო, რადგან აღნიშნულის წამკითხველი სხვებს თვითონ გაიხსენებს.

ძველი რუსეთი განუწყვეტლივ ებრძოდა დაცემის გზაზე შემდგარ თურქეთის იმპერიას, მისი მემკვიდრეობის მისაღებად. მათ შორის იდვა სომხეთ-საქართველოს ტერიტორია და პირველ რიგში დაპყრობის გზაზე მას უნდა გადაევლო თურქეთის მიერ მიტაცებულ სომხეთ-საქართველოს ისტორიულ მიწებზე; მაშასადამე, პირველი დარტყმა ამ მიწების დასაპყრობად იყო მიმართული. ცხადია ეს დაპყრობა პირველ რიგში შედიოდა რუსეთის ინტერესებში, მაგრამ აქ პირველად რუსებისას ჩვენი ქვეყნების ინტერესებიც შეხვდა. ამიტომ იყო, რომ ამ ბრძოლებში ქართველობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა, რათა ქართული მიწები შეერთებული ყოფილიყო თუნდაც ერთი დამპყრობელის ბატონობის ქვეშ, რაც ადვილად აიხსნება.

რა გააკეთა ამ მხრით ბოლშევიკურმა რუსეთმა? მან იქით გადაუღოცა თურქებს ჩვენი მიწები. ბოლშევიკების წინ ჩვენი ძველი საზღვრები თითქმის აღდგენილი იყო თურქეთთან. ამ საზღვრებში განხორციელდა საქ-ს დამოუკიდებლობა *1918* წელს. ბოლშევიკებმა ვერ მოინელეს კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და ნელ-ნელა ყველა დაიპყრეს. ბოლშევიკი რუსები პირველად შემოგვესივნენ *1920* წელს და ქართულმა ჯარმა ისინი სასტიკად დაამარცხა. მაშინ ლენინმა საქართველოს ხელშეკრულობა დაუდო და იცნო საქ-ს დამოუკიდებლობა. ამით მან მიაძინა საქ-ს მთავრობა, უკანასკნელმა მოახდინა თავისი ჯარის დემობილიზაცია და, როდესაც, *7-8* თვის შემდეგ, ხელმეორედ შემოგვესივნენ საქ-ს აღრინდელის მესამედი ჯარი აღარ შერჩა ხელში. *1921* წელს რუსები კიდევ შიშობდნენ. აზერბაიჯანსა და სომხეთში ჯერ მდგომარეობა არ ჰქონდათ რიგზე და ეშინოდათ, რომ ისინი მიეშველებოდნენ საქ-ს. უფრო მეტი რიდი ჰქონდათ თურქეთისა. თუ თურქეთი საქართველოს დაეხმარებოდა, რუსის მხედრებს შეუძლებლად მიაჩნდათ საქ-ს წინააღმდეგ შეტევის დაწყება. ამ მიზნით იყო, რომ რუსებმა მოსკოვში მოლაპარაკება გამართეს თურქებთან, იმ მიზნით, რომ თუ არა მოკავშირეობა, მათი ნეიტრალობა მაინც მოეპოებინათ. თურქებისთვის ეს მიმართვა სარფიანი იყო, რადგანაც ისინი ისედაც ლენინს ემჯარებოდნენ მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამავე დროს, როგორც მერე გამოირკვა, ჯილდოდ ცოტა ტერიტორიებსაც მიიღებდნენ, ეს კი მოხდა საქართველო-სომხეთის ხარჯზე. თათრებს უკვე დაკავებული ჰქონდათ სომხეთისაგან ყარსი და რუსეთ-საქ-ს შორის ომის დროს მათ დაიკავეს არტაანისა და ართვინის რაიონები და მათ უნდოდათ ამის კანონიერი დამტკიცება. რუსებმა ეს დაუმტკიცეს და საქ-ს ე.წ. გასაბჭოების შემდეგ ყარსის ხელშეკრულებით ამიერკავკასიის „მთავრობასაც“ დაამტკიცებინეს ის. სხვათა შორის, თურქებმა ბათუმის დაკავება სცადეს. მაშინ არც ქართველმა კომუნისტებმა და არც ეროვნულმა მთავრობამ არ იცოდა თუ რა ხდებოდა მოსკოვში, ამიტომ ქართული ჯარი შეებრძოლა თურქებს. მათ, რომ სინამდვილე სცოდნოდათ, ბრძოლა ზედმეტი იყო, რადგან თურქები თავისით უნდა წასულიყვნენ. თურქებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსები მათ ბათუმს არ დაუთმობდნენ, მაგრამ ის თუნდაც *24* საათით უნდა დაეკავებიათ მაინც, რომ გაემართლებიათ რუსეთთან დადებული *16* მარტის ხელშეკრულების ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ბათუმს ისინი უთმობენ „საბჭოთა საქართველოს“ თუ რუსეთს!

ამგვარად წინააღმდეგ ძველი რუსეთისა, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს გადაუღოცა საქართველო-სომხეთის ტერიტორიები...

ქართველი ერის ყველა სფეროს მიმართ ერთ და იგივე ანალოგიას ვხედავთ ძველი და ახალი რუსეთის მოქმედებაში. განსხვავება მოქმედების მეთოდებშია. მაშინ, როცა ძველი რუსეთი შედარებით პრიმიტიულად და დაუფარავად მოქმედებდა, ახალი რუსეთი უფრო ახალი მეთოდებით და იდეოლოგიას ამოფარებული იმასვე აკეთებს.

სან-ფრანცისკო. *1981* წ. სექტემბერი. ალ. მანველიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენება

(პროფესორ გიორგი ნაკაშიძის ეს წერილი ამოღებულია მის მიერ ბატონ ნიკო ურუშაძისადმი მინაწერ კერძო წერილიდან, ავტორთან შეთანხმებით. მასში აღძრული ამბები საჭიროდ და საინტერესოდ მივიჩნიეთ ჩვენი მკითხველებისთვის. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მეფის რუსეთის მთავრობა გაცილებით უფრო ლიბერალური ყოფილა სკოლებში რუსული ენის სწავლების საკითხში, ვიდრე დღევანდელი საბჭოთა რუსეთის მთავრობა. წერილის სათაურიც პირობითია, ჩვენს მიერ დარქმეული. „თ.ტ.")

„მიუხედავად შენი უზომო მწუხარებით აღსავსე მდგომარეობისა, შენ მაინც გახსენდება ერთი ამბავი ჩემი წარსულიდან: სოფლის მასწავლებელთა ყრილობა-კონფერენცია მოხდა ბათუმში, გაზაფხულზე *1915* წ. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ვიშნევსკი გამოვიდა წინადადებით, რათა სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლება დაგვეწყო პირველი წლიდან. გაიმართა კამათი. უკანასკნელად მომიხდა მე გამოსვლა. თუ გახსოვს, იმ ხანებში მე რუსულად ძლიერ კარგად ვლაპარაკობდი(7 წელიწადი რუსულ დახურულ პანსიონში გავატარე). ამოს კომენსკის, პესტალოცის, ჰერბარტის და უშინსკის აზრების მოტანით ვამტკიცებდი, რომ ასეთ წამოწყებას სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია მეთქი. ჩემი სიტყვის შემდეგ წამოდგა ვიშნევსკი, რომელიც ჩემი ლაპარაკის დროს თითქმის გაკვირვებით შემომცქერდა, და განაცხადა: „ესლი ტაკ პრეკრასნო ვლადეიუში რუსსკიმ იაზიკომ კაკ გოსპოდინ ნაკაშიძე, ი ტოტ პროტივ, ტო ია ბერუ ნაზად სვოი პროეკტ." ვასო წულაძე, რომელიც დაესწრო ამ ყრილობას, ყოველთვის მომაგონებდა ამ შემთხვევას.

სოც. დემოკრატებზე მართლაც, რომ ბრწყინვალე გამარჯვება მე მხვდა წილად აპრილის ბოლო რიცხვებში *1917* წ. და აქ შენც მიგიძღვის ერთგვარი დამსახურება: თუ გახსოვს, საალდგომოდ ვესტუმრე ოზურგეთს. შენ, ფილიპეს*, შალვა გოგელიას და მსაჯულს**, ჩვენი პარტიის წევრს, გვარი არ მახსოვს, პარტიის სახელით მოწვეული გყავდათ ოზურგეთის საზოგადოება გერმანე გოგიტიძის თეატრში, რათა გაგეცნოთ სოც. ფედერალისტების პროგრამა-მიზნები. შემხვდით შენ და ფილიპე და მთხოვეთ აუცილებლად მიმეღო მონაწილეობა. შენ გამომშვიდობებისას მითხარი: „აბა შენ იცი, ჩემო გოგი, როგორ კარგად მოემზადები." და მართლაც, წინააღმდეგ ჩემი ჩვეულებისა, რაც შეიძლება საუკეთესოდ მოვემზადე, ვინაიდან ეს იყო ჩემი პირველი შემთხვევა საჯაროდ გამოსვლისა საყვარელ ოზურგეთის საზოგადოების წინაშე.

დანიშნულ დღეს, ხალხით გაჭედილ დარბაზში გაიხსნა კრება. გამოვედით: მსაჯული, შალვა გოგელია, შენ, ფილიპე და მე. ყველანი ყვირილით, წყევა-კრულვით გამოგვაბუნძულეს. ვერ გაუბედეს გამოგდება კაკის*** ქმარს****, რუსს, სამხედრო ინჟინერს, სოც. რევოლუციონერს, რომელიც სავსებით იცავდა ჩვენი პარტიის პროგრამას.

ისე მოხდა, რომ აპრილის უკანასკნელ რიცხვებში დანიშნული იყო თბილისში, ყოფილ სასახლის თეთრ დარბაზში, ამიერკავკასიის სახალხო, სამოქალაქო და გიმნაზიის მეხუთე კლასამდე მასწავლებელთა კონფერენცია. ხაშურის გიმნაზიიდან დელეგატად არჩეული დავესწარი ამ კონფერენციას. ოზაკომის სახელით მოგვესალმა აკაკი ჩხენკელი (რასაკვირველია რუსულ ენაზე). გამოვედით სამი კაცი. მე ამირჩიეს თავმჯდომარის მოადგილედ. მონაწილეობას იღებდა სამასამდე დელეგატი: ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, ბერძენი და სხვა. კონფერენცია გაგრძელდა თითქმის მთელი კვირა. უკანასკნელ დღეს დანიშნული იყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში ჩვენი წარმომადგენლის არჩევა-გაგზავნა. ორი პიროვნება იყო დასახელებული: თედო კიკვაძე***** და გიორგი ნაკაშიძე. თვითოეულის მოადგილედ: ღალონი(მამულაიშვილი) თ. კიკვიძის მოადგილედ, სერგო მამალაძე, თელავის პროგიმნაზიის ინსპექტორი, ჩემს მოადგილედ. არჩევნების წინ მოვალენი ვიყავით ჩვენი პლატფორმა გაგვეცნო ყრილობისათვის. და აი სწორედ აქ გამომადგა ჩემი ოზურგეთში მომზადებული და წარმოუთქმელი სიტყვა. თითქმის ნახევარი ჩემს მიერ გადაშლილ პლატფორმისა ეკუთვნოდა ოზურგეთის საზოგადოებისათვის დანიშნულ გამოსვლას. მივიღე ხმების სამი მეოთხედი, მანდატით აღჭურვილი წავედი ზუბალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის სახლში, მაშინ იქ იყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, მაგრამ საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო ჩემი კანდიდატურა. გაზეთ „საქართველომ“ მოათავსა საკმაოდ ვრცელი პროტესტი ამის გამო, ხოლო თედო კიკვაძემ დაბეჭდა სოც. დემოკრატიულ ორგანოში, მგონი, ორი ფელეტონი „ამიერკავკასიის მასწავლებელთა პოლიტიკურად ჩამორჩენილობის შესახებ.“ სადაც სხვათა შორის იყო ასეთი ადგილი: „თუ რამდენად ამიერკავკასიის მასწავლებლობა ჩამორჩენილია პოლიტიკურად აშკარად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორიც არის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში თავისი წარმომადგენლის წარგზავნა, არჩეულ იქნა გიორგი ნაკაშიძე, სრულიად ახალგაზრდა *21* წლის ყმაწვილი, პოლიტიკაში სრულიად გამოუცდელი და მოუმზადებელი...“ ჩვენს შორის ითქვას, ამაში სავსებით მართალი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც *26.5.1917* წლის „სახალხო საქმე“-ში მოვათავსე უზარმაზარი წერილი სათაურით: „პასუხად ბატონ თედო კიკვაძეს“, რომლიდანაც მახსოვს მხოლოდ ერთი ადგილი: „ჭაღარა თმა არ არის ყოველთვის გამოცდილება-სიბრძნის გამომხატველი, ხანდახან სრულიად საწინააღმდეგოსია...“ მესამე თუ მეოთხე დღეს ჩემი პასუხის გამოქვეყნებისა წავწყდი შემთხვევით წყნეთის ქუჩაზე თედო კიკვაძეს, გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: „ჩემო პატარა გოგი, მე დავწერე, შენ პასუხი გამეცი, დავივიწყოთ ყველაფერი და დავრჩეთ მეგობრებად, ჩვენ ხომ ყურისძირის მეზობლები ვართ...“ მაკვანეთში მისი ეზო ჩვენს ეზოს ეკვრება უშუალოდ. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო შემაყვარა ეს ჭაღარათმიანი, კეთილშობილი ადამიანი, ბავშვობიდანვე ჩემი კარგი ნაცნობი...“

ბუენოს-აირესი. *29.1.1980.* **გიორგი ნაკაშიძე**

ბატონ ნიკო ურუშაძის განმარტებები :

*ფილიპე შარაძე; **ქორქაშვილი, რომელიც სასამართლოს წევრობიდან მისი სოც. ფედერალისტობისათვის ოზურგეთში გადმოიყვანეს მსაჯულად, ნამდვილი „ზრდილი იმერი“, რუსული ენის კარგი მცოდნე. ***გიორგი ნაკაშიძის და; ****გვარად ჩეხოვი;

1917 წ. აპრილში ოზურგეთში ჩვენს მიერ გამართულ საჯარო კრების დროს მდგომარეობა დაპიმული და სახიფათო იყო, რადგან ოზურგეთში მაშინ იდგა „ოპოლჩენცების“ პოლკი და ჩვენზე ხმები დაარხიეს, რომ ვართ „სეპარატისტები“. სხდომის გახსნისთანავე სოც. დემოკრატები დაგვესიენ და ესტრადიდან გადმოგვიღეს, მხოლოდ რუს ჩეხოვისათვის ხელი არ უხლიათ. იმავე წელს ნოემბერში ჩვენი პარტია საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდა.

ნ. ურუშაძე

შ ე ც დ ო მ ა თ ა გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ა.წ. მარტში, ქართველთა ყველა პოლიტიკურ წრეების მიერ გამოცემულ კრებულში, რომელიც ჩვენი ქვეყნის დაპყრობის *60* წლისთავისადმია მიძღვნილი, დაშვებულია დატის და ადგილის არევა, რომლის გამოსწორებაც საჭიროა. ბატონი მინდია ღაშაური თავის „თებერვალი და ქართული კულტურა“-ში, გვ.**44**-ზე ამბობს: „ამ გზას არ უღალატა არც კათალიკოსმა ამბროსიმ და ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა...“ ჰააგის კონფერენცია შედგა *1907* წელს, სადაც საქ–ს სახელით წარდგნენ **ვარლამ ჩერქეზიშვილი** და **გიორგი გვაზავა**, რომლებიც მოითხოვდნენ გიორგიევსკში დადებულ ტრაქტატის აღდგენას. კათალიკოსმა **ამბროსიმ** კი მიმართა *1922* წელს ქ. გენუის კონფერენციას, სადაც საბჭოთა კავშირის მოთხოვნით სრუტეების საკითხი იხილებოდა. ამ კონფერენციაზე მოსკოვმა თავის წარმომადგენლად გამოგზავნა ბუდუ მდივანი და ჩვენმა ეროვნულმა მთავრობამ კი სიმონ მდივანი. ამ წლებში საბჭ. კავშირი არ იყო კიდევ საერთაშორისო უფლებით აღიარებული. მიუხედავად ამისა, მან მისი მიზნები იქ განახორციელა. *1922*-ში, კარგად მახსოვს, პეტიციაზე ჩვენში ხელი მოაწერეს, შეგროვდა ათასი ხელისმოწერა, რომელიც კათალიკოსის პეტიციასთან ერთად უნდა წარედგინათ გენუის კონფერენციისათვის. მეტად ძნელი გახდა ამ პეტიციის და სიის წამომღები პირის გამონახვა. საბოლოოდ ეს წილად ხვდა ქართველ გლეხს **არჩილ არავიაშვილს**, რომელმაც

30176

ეს დავალება პირნათლად შეასრულა. ამ ჩვენმა თანამემამულემ აქ, ლევილში, დიდხანს იცხოვრა და ახლა ის ჩვენს ძმათა სასაფლაოზე ასვენია. მე კარგად მახსოვს, რომ მას, არჩილ არავიაშვილს თავი ისე ეკავა, რომ კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი მოქმედების ისტორიული მნიშვნელობა.

ბუდუ მდივანი, უკან დაბრუნებული, ხშირად გაიძახოდა: გენუაში ჩემმა ღვიძლმა ძმამ ხელი არ ჩამომართვაო. ისიც იმსხვერპლა სტალინმა.

მხოლოდ ამ ამბების შემდეგ იქნა კათალიკოსი ამბროსი გასამართლებული. კათალიკოსმა თვით გამოთქვა სურვილი ის სასამართლოში დაეცვათ **ოსიკო ბარათაშვილს** და **შალვა მესხიშვილს**, რომელთაც ჩვენში სახელგანთქმულ ვეკილების სახელი ჰქონდათ. შალვა აღექსი მესხიშვილმა ამაზე უარი განაცხადა. მაშინ ის უკვე გამდგარი პიროვნება იყო, ამიტომ მისი უარი არც ისე გასაკვირი იყო. როცა ეს ამბავი გაიგო ჩვენი კონსტიტუციის ერთ-ერთმა შემდგენელმა, **კირილე ნინიძემ**, მან თვითონ აიღო კათალიკოსის დაცვა, ოსიკო ბარათაშვილთან ერთად. ცნობილია თუ რა გამბედაობით და ნიჭით ამ ორმა მამულიშვილმა კათალიკოსი დაიცვეს. საბჭოთა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და სულიერი განწყობილება და განაჩენი შედარებით უფრო რბილი იყო, ვიდრე საზოგადოება მოელოდა.

ერთი შენიშვნა ამ საქმის გარეშე: ამ ბოლო თვეებში ბ–ნ აღ. სულხანიშვილის მიერ დარიგებული წერილი თავდება შემდეგი ფრაზით: დამკომმა მთავარსარდლად(აჯანყების) ქაქუცა ჩოლოყაშვილი დანიშნაო, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. დამკომმა მთავარსარდლად დანიშნა ღენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, რომელმაც, დამკომის წევრ შალვა ამირეჯიბთან ერთად, შეძლო საზღვარგარეულ გამოსვლა. შალვა ამირეჯიბი პარიზის ერთ-ერთ სასაფლაოზე ასვენია, ხოლო ღენერალ ჭავჭავაძეს ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება ინება: თავად ჭავჭავაძეს, აჯანყების მთავარსარდალს არ შეფერის პარიზის ხიდების ქვეშ შიმშილით და სიცივით სიკვდილიო. მიღებული ცნობების მიხედვით, ის ადრე გადაასახლეს რუსეთში თუ ციმბირში. შემდეგ მისი ბედის შესახებ აღარავითარი ცნობა არ გამაჩნია.

ნიკოლოზ ურუშაძე

ვსარგებლობთ შემთხვევით და მკითხველებს ვაუწყებთ შემდეგ შეცდომებს:
თავ. ტრიბუნის უკანასკნელ ნომერში, წერილში „26 მაისობა პარიზში“ წერია:„...სიტყვა გადასცა სორბონის უნივერსიტეტის ქარ–ლი ცივილიზაციის პროფესორს, ბ. გიორგი შარაძეს.“ უნდა იყოს: ბ. გიორგი შარაშიძეს.(გვ. 5.) იმავე წერილში(გვ.12) შეცდომით წერია: „...სოშო-მონბელიარიდან ბ. ბაგრატ ჭანტურია.“ უნდა იყოს: ბ. ბაგრატ ჭაჭიაშვილი. „თ.ტ.“

სომხების ტერორი გრძელდება

ხუთშაბათს, 24 სექტემბერს მიმდინარე წლისა, დაახლოებით დილის თერთმეტ საათზე, თურქეთის საკონსულოში(ბულვარ ოსმანი, პარიზი.) შეიჭრა ოთხი შეიარაღებული პირი, დაატყვევა ყველა იქ მყოფი, ჩაკეტა შესასვლელი კარებები და გამოაცხადა, რომ შენობას ააფეთქებდა თუ ვინმე შეეცდებოდა ძალის ხმარას. უკვე ამ პირველი ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა საკონსულოს დარაჯი, რომელიც წინ აღუდგა ტერორისტებს და, რომელიც შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა, დაიჭრა ვიცე-კონსული-კაია ინალ და ერთი ტერორისტული კომანდოს წევრი, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა და დანებდა ფრანგულ პოლიციას.

ცოტა ხნის შემდეგ ქ. ბეირუთში ამერიკის სააგენტოს გადაცეს შემდეგი განცხადება ფრანგულ ენაზე: პარიზში თურქეთის საკონსულოზე თავდასხმის პასუხისმგებელია „სომხეთის განთავისუფლების საიდუმლო არმია“(‘A.SAL A.), მას ეწოდება „ოპერაცია ვანი“(სომხეთის ძველი დედაქალაქი) და მისი დანიშნულებაა მსოფლიოს ერთხელ კიდევ მოაგონოს სომეხი ხალხის ენოციდი თურქეთის მაშინდელი მთავრობის მიერ ჩადენილი. „a.s.a.l.a.“ აცხადებდა, რომ თუ თურქეთის მთავრობამ თორმეტი საათის განმავლობაში არ გაანთავისუფლა ყველა სომეხი პოლიტიკური პატიმარი და თვითმფრინავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთში არ მიიყვანა, საკონსულოში მყოფი მძევლები ყველა დახოცილი იქნებიანო. ამავე დროს, სომხების საიდუმლო ორგანიზაცია აფრთხილებდა საფრანგეთის მთავრობას: "პოლიციის ინტერვენცია გამოიწვევს შენობის დაუყოვნებლივ აფეთქებას და ყველა შიგ მყოფის დაღუპვასო."

თურქეთის მთავრობამ უარი თქვა ტერორისტების ულტიმატუმის შესრულებაზე. ნაშუადამევს ტერორისტები დათანხმდნენ ჩაბარებოდნენ საფრანგეთის პოლიციას, თუ საფრანგეთის მთავრობა მათ პოლიტიკურ თავშესაფარს მიცემდა და არ გადასცემდა თურქეთს, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ტერორისტ სომხების მთავარი მიზანი–მსოფლიო საზოგადოების წინაშე სომხის ერის გენოციდის საკითხის კვლავ დაყენება–მიღწეულიქნა. ამ შემთხვევამ გმოიწვია თურქეთის მთავრობასა და საფრანგეთის სოციალისტურ მთავრობას შორის ურთიერთობის გაუარესებაც, რადგანაც ზოგიერთი მთავრობის წევრი დაუფარავად თურქეთის საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ საჯაროდ. მიუხედავათ ამისა, ძნელი დასაჯერებელია, რომ თანამედროვე საერთაშორისო პირობებში სომეხმა პატრიოტებმა შეძლონ მიაღწიონ მათ ძირითად მიზანს: **ო.ნ.უ.**-მ აღიაროს ოფიციალურად სომხის ერის გენოციდი და თურქეთი აიძულოს სომხეთის ისტორიულ მიწა-წყლის აღდგენა, რომელიც შეუერთდებოდა საბჭოთა სომხეთის სახელმწიფოს.

გრიგოლ წერეთელი

აკაკი წერეთლის დაბადების 140 წლის თავი

ჩემი ბავშვობის სასოწარკვეთილება

ვიყავი პატარა, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე. არ ვიცი რა დადებითი მხარეები მქონდა, ჩემ მაშინდელ მასწავლებელს **ნინო ხელთუფლიშვილს** მეტად უყვარდი. ქუთაისი ემზადებოდა აკაკის საიუბილეო დღესასწაულისათვის. მე ვიყავი ამორჩეული, რომ ქუთაისის თეატრში მგოსანს ლექსით მივსალმებოდი. სამწუხაროდ ლექსი აღარ მახსოვს, მაგრამ მისი უკანასკნელი სტრიქონი ამბობდა: ოთხკუთხით გიძღვნეს საღამი. დილიდან საღამომდე მამზადებდენ და მასწავლიდენ მსახიობები: იმედაშვილი, მურუსიძე, ჭიაურელი, ყალაბეგიშვილი, ნინო ჩხეიძე და ვინ არ გინდა? ქუთაისში მე პატარა ბაჭია, იმ დროს ვიყავი თითით საჩვენი. მე მგოსანს უნდა მივსალმებოდი ქართველი ერის სახელით. თეთრ ჩოხაში, უძიროებში, ვერცხლის ქილებით და ვერცხლის მრუდე ხანჯლით. მე მეგონა, რომ სოლომონ ლეონიძე და თორნიკე ერისთავი ჩემთან ბუზებია.

იყო ამ დროს საუბედუროდ ყველიერი. სახლში იყო ბლინები. ბევრი ვჭამე. მეგონა, რომ ლექსს ვიტყვი უკეთ. გავხთი ავად და ჩავარდი ლოგინში. ექიმები, წამლები, მაგრამ არაფერი მშველოდა. მამა მანუგეშებდა, მაგრამ მე ვხედავდი ჩემს უბედურებას. ჩემი მწუხარება იყო მით უმეტესი, რომ მგოსანი ჩვენი ნაცნობი იყო და ხანდახან ლაღიძეებთან ერთად ჩვენთან მოდიოდა ხოლმე. ლაღიძეები იყვენ მამაჩემის დისწულები. უკანასკნელი დღე დგება და მე ლოგინში ვარ მიუხედავად ექიმის და მამის იმედისა. ერთი სიტყვით წაგებული ვარ მთელ ხაზზე. მე, რომელიც ამორჩეული ვიყავი და კუდგაშლილ ფარშავანგივით დავდიოდი, ეხლა სველ ბეღურას ვგავდი. ეხლა ვიყავი უბრალო მოსწავლე და ისიც სასაციილო–ღორმუცელა.

მგოსნის იუბილე ჩატარდა უჩემოთ. არ ვიცი ჩემს მაგიერ ვის ეღირსა ბედნიერება და მგოსანს ვინ მიესალმა. მე რამდენიმე დღე ვიტირე. მანებივრებდენ, მასაჩუქრებდენ, მაგრამ ვერაფრით ვერ დამაწყნარეს.

ორიოდე კვირის შემდეგ ლაღიძეები და მგოსანი ჩვენთან მოვიდენ. მე დავიწყე ქვითინი. მომიყვანეს მგოსანთან მტირალი. მგოსანმა მითხრა, რომ ლექსი ახლა მეთქვა. მე ვუთხარი, რომ ეს იგივე არ იქნება და ისე ღირსეულიც არ იქნება. ლექსი ვერ მათქმევინეს, რადგან ვქვითინებდი. მგოსანმა დამისვა მუხლზე, მამას ეგაასებოდა და მითხრა, რომ იგი იგულისხმებს ვითომდა თეატრში მე მივსალმებოდი და, რომ მისგან საჩუქარს მივიღებ. მისგან მივიღე საჩუქარი, რამდენიმე წლის განმავლობაში ვღებულობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი „ნაკადულს“, რომელიც იყო ბავშვების ყოველთვიური გამოცემა.

გავიდენ წლები, მგოსანი აღარ მინახავს, მაგრამ უკანასკნელად ნახულ[illegible]ზე კარგად მახსოვს და მაშინდელი გულისტკივილი და მწუხარება სამარეში ჩამყვება. აგერ ოთხმოცი წელი შემისრულდა, მაგრამ მაშინდელი წუხილი და დარდი დღემდე გულს მიღრღნის. იმ დღიდან ბღინებს აღარ ვჭამ.

ლონდონი. თებერვალი, 1981. ვიტალი უგრეხელიძე

---

† ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები

მიმდინარე წლის 13 ივნისს, ქ. მიუნხენში გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე, რომელიც დასაფლავდა 16 ივნისს მიუნხენის ახალ „სამხრეთის სასაფლაოზე.“

პროფ. ალ. ნიკურაძე დაიბადა 1900 წლის 10 ნოემბერს თბილისში, სადაც მან დაამთავრა გიმნაზია 1918 წ. 1919 წელში, როგორც საქ. მთავრობის სტიპენდიანტი, ალ. ნიკურაძე უმაღლესი ცოდნის მისაღებად მიემგზავრება გერმანიაში. ჯერ სწავლობს გოეტინგენის უნივერსიტეტში, შემდეგ კი მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში მათემატიკას, ფიზიკას და ელექტრონიკას. 1925 წელს ამთავრებს უმაღლესს და იწყებს მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში ელექტრონული ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ- მუშაკად, პროფესორ შუმანთან. 1929 წელს იქვე იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1932 წლამდე მსახურობს როგორც პრივატ-დოცენტი, ხოლო შემდეგ ის მიწვეულ იქნა ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების კათედრის გამგედ. ალ. ნიკურაძის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც შეჯამებაა იმ დიდი და ნაყოფიერი კვლევა-ძიებისა, რომელსაც ის აწარმოებდა ბერლინის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში და, რომლებმაც მას მსოფლიო მეცნიერის სახელი მოუხვეჭეს.

პროფ. ალ. ნკურაძემ აგრეთვე სახელი გაითქვა როგორც ისტორიკოსმა, კონტინენტალური ევროპის ისტორიის კვლევა-ძიების სფეროში. ეხება რა ამ საკითხს, ალ. ნიკურაძე თავის წიგნში „აღმოსავლეთი ევროპა კონტინენტალური ევროპის თვალთხედვით“, რომელიც მიუნხენში დაიბეჭდა 1944 წელს, სხვათა შორის ამბობს: „ჩვენი ხანა მოითხოვს კონტინენტალურ ევროპის ისტორიულ თვალთახედვას, რაც გულისხმობს ცალმხრივი ხაზის გასმაზე უარის თქმას ოკეანესიქეთა სამყაროსი და კონტინენტალური ევროპის თვალთახედვის ისევ გამოცოცხლებას.“ ამ საკითხზე, პროფ. ალ. ნიკურაძემ ა. სანდერსის ფსევდონიმით გამოაქვეყნა შემდეგი შრომები: „ევროპის შექმნის შესახებ“, „კონტინენტალური ევროპა მითოლოგიური ხანიდან დღემდე“, „დიდი ბრიტანეთის მემკვიდრეობის შესახებ“, „კავკასია“, „გადამწყვეტი საათი“, „ბრძოლა ევროპისათვის“.

პროფ. ალ. ნიკურაძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა „ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტს“ მიუნხენში, ლექციებს კითხულობდა მიუნხენის და ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტებში და განაგრძობდა აგრეთვე საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. მისი სიკვდილი დიდ დანაკლისად აღიქვა მეცნიერებამ საერთოდ და მისმა გერმანელმა კოლეგებმა განსაკუთრებით. მისი სიკვდილი დიდათ დასანანია საქართველოსათვისაც, რომლისათვის ფიქრი და ზრუნვა მას თან ჩაყვა საფლავში.

განსვენებულს დარჩა ცოლი და ერთი ქალიშვილი—ელისაბედი, რომლებიც ცხოვრობენ მიუნხენში.

არა მარტო პროფ. ალ. ნიკურაძემ მოიხვეჭა დიდი სახელი გერმანიის მეცნიერებაში, არამედ მისმა უფროსმა ძმამაც—პროფესორმა ივანე ნიკურაძემ. ივანე ნიკურაძეც საქ. ეროვნულმა მთავრობამ გააგზავნა ევროპაში სწავლის მისაღებად. მან ბრწყინვალედ დაამთავრა გოეტინგენის უნივერსიტეტი, სადაც შემდეგ გახდა პროფესორი და ათეულ წლების განმავლობაში დიდი სახელი მოიხვეჭა არა მარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე მსოფლიო მეცნიერებაში. პროფ. ივანე ნიკურაძის მიერ შექმნილმა ე.წ. „დინების თეორიამ“ (*Stromungslehre*), რაც, როგორც აღნიშნავენ, ერთ-ერთი საფუძველთაგანია დღევანდელი საჰაერო, კოსმოსური და საზღვაო ტექნიკისა. პროფ. ივანე ნიკურაძე გარდაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალა ამ ორი წლის წინად და დაკრძალულია ქალაქ გოეტინგენში. მას დარჩა ქვრივი და ერთი ვაჟიშვილი, რომელიც აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერების დარგში მოღვაწეობს.

მიუნხენი. დავით თაბორიძე

--- --- --- ---

პ ა ვ ლ ე ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

მცირერიცხოვან ჩვენ მებრძოლ დევნილთა რიცხვს გამოაკლდა კიდევ ერთი თანამებრძოლი— **პავლე სარჯველაძე**, რამაც დიდათ დაგვაღონა მისი მიგობრები. განსვენებული დასაფლავდა ღეველში, პარასკევს, სამ ივლისს, რომელსაც დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება. პანაშვიდი გადახდილი იქნა ფრანგების ეკლესიაში, რის შემდეგ პროცესია გაემართა სასაფლაოსაკენ. სამარხის წინ მოძღვარმა კიდევ შეასრულა ღვთის მსახურება, რის შემდეგაც გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს სათვისტომოს თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკმა, პროკოფი ინწკირველმა და გიორგი წერეთელმა.

პ. სარჯველაძე დაიბადა სოფელ ღესაში(ლანჩხუთის რაიონი) *1898* წლის *25* სექტემბერს. როგორც განსვენებულისგან გაგვიგონია, მამამისმა ძლივს იცოდა ხელის მოწერა, რვა შვილი კი წარმატებით გამოუზრდია და ყველასთვის სათანადო განათლება მიუცია. ემიგრაცია ორ ძმას იცნობდა: პავლესთან ერთად მის უფროს ძმას სეოს, რომელიც რამოდენიმე წლის წინ დაბრუნდა სამშობლოში. მისი გარდაცვალების ამბავი მოვიდა სწორედ მაშინ, როცა პავლე სიკვდილს ებრძოდა და ეს სამწუხარო ამბავი მას არ გაუმხილეს.

პავლეს გათავებული ჰქონდა საფარმაცევტო კურსები. მსახურობდა ლანჩხუთის აფთიაქში, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა იქ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმის გამოსა. დემოკრატიულ პარტიაში შევიდა *1916* წელს. საქ–ს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პ. სარჯველაძე თბილისში გადაიყვანეს ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში, რომელმაც მიავლინა ნავთლუღში და იქ აირჩიეს პარტიულ ორგანიზაციის მდივნად. *1921* წლის თებერვალ-მარტში, პ. სარჯველაძე გვარდიის რიგებში იცავდა სამშობლოს, შემოსეულ რუსის წითელარმიელებისაგან, დამარცხების შემდეგაც მას წინააღმდეგობა არ შეუწყვეტია, რისთვისაც საოკუპაციო ხელისუფლებამ ის დააპატიმრა და *1922* წელს მეტეხის ციხიდან სხვა პოლიტიკურ პატიმართან ერთად დასავლეთ ევროპაში გადმოასახლეს.

პ. სარჯველაძეს აქაც ხელი არ აუღია სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაზე. ის ერთგული თანაშემწე და დამხმარე იყო ჩვენი პარტიის ლიდერების და მთავრობის წევრებისა, კერძოდ განსვენებულ ნოე ჟორდანიასი. როცა ისინი ამ ქვეყნიდან გავიდნენ ვალმოხდილნი, პავლეს დააწვა მისი მხრებისათვის მეტად მძიმე ტვირთი: უკანასკნელ წლებში ასრულებდა სოც. დემოკრატიული პარტიის საზღვაგარეთული ბიუროს თავმჯდომარეობას და პარტიის პერიოდული ორგანოს „„ჩვენი დროშა“-ს რედაქტორობას.

პ. სარჯველაძე ბევრს მუშაობდა, თვალყურს ადევნებდა სამშობლოს და მსოფლიოს მაჯისცემას, უყვარდა ქართული ლიტერატურა და ამ საკითხებზე ის ხშირად აკეთებდა საჯარო მოხსენებებს. ჟურნალ- გაზეთებში დაბეჭდილი წერილების გარდა აწ განსვენებულმა ცალკე წიგნებად გამოსცა: „ჩეხოსლოვაკიის ბრძოლა თავისუფლებისათვის“, „ყალბი ისტორიოგრაფია“,„ოქტომბრის შედეგები“, „ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის“, „თავდადებულნი“ და სხვა.

პ. სარჯველაძემ, თინა ჯაფარიძის ასულთან ერთად, შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი, შეეძინათ და სასახელოდ გამოზარდეს ვაჟიშვილი–გია, რომელიც დღეს ცოლშვილიანია და ღირსეულ ჰირისუფლად ედგა მამის ცხედარს. გვწამს, რომ გია ღირსეულად გააგრძელებს მშობლების სამართლიან ბრძოლას—სამშობლოს გასანთავისუფლებლად. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ მას და პავლეს საუკუნო განსვენება.

გრიგოლ წერეთელი

რუბენ გვეტაძე ოჯახით, უღრმეს მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ჩვენი უსაზღვრო მწუხარება გაიზიარა, ძვირფასი ვაჟის, გივის უდროო დაკარგვით გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებით ვაუწყებთ გარდაცვალებას:

ბატონ **მელიტონ ბალანჩივაძისა** რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში, ა.წ. *12* ივლისს და დასაფლავდა სოფელ ღევილის სასაფლაოზე.

\---

ბატონ **ნიკოლოზ მაჭარაძისა,** რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფელ ტონის ვილარში(ზედა სავუას დეპ. საფრანგეთი) და დაიკრძალა ადგილობრივად. გარდაიცვალა ა.წ. *16* ოქტ.

\---

და ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჰირისუფალთ.

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

სიმონ ყაუხჩიშვილის გარდაცვალება

მ.წ. *11* მაისს, *85* წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული უნივერსიტეტის ამაგდარი, დიდი მეცნიერი სიმონ გიორგის ძე ყაუხჩიშვილი.

თბ. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე–*1918* წელში–ს. ყაუხჩიშვილი დაბრუნდა რუსეთიდან. ცოდნის გასაღრმავებლად იგზავნება გერმანიაში და საბერძნეთში. იქიდან დაბრუნებულს, *1923* წელში მას იწვევენ უნივერსიტეტში კლასიკური ენების და ბიზანტიის ისტორიის ლექციების წასაკითხად. *1927* წელს, ს. ყაუხჩიშვილი იცავს სადოქტორო დისერტაციას და *1930* წლიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე იყო მშობლიური უნივერსიტეტის პროფესორი. აწ განსვენებულმა საფუძველი ჩაუყარა კლასიკურ ფილოლოგიას. მის მეცნიერულ მოღვაწეობიდან, მრავალთა შორის, განსაკუთრებით მოსახსენებელია **„გეორგიკა“**–მონუმენტური კორპუსი, რომელიც რვა ტომისგან შედგება და, რომელშიც თავმოყრილია ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია საქართველოს შესახებ ბიზანტიურ მწერლობაში. განსვენებულის კალამს კი სულ ეკუთვნის ორასზე მეტი შრომა და ნარკვევი. ქართულ მეცნიერებას გამოაკლდა ერთი მისი საუკეთესო წარმომადგენელი, საქართველოს დიდებული მამულიშვილი.

*** *** *** ***

გარდაიცვალა დემნა შენგელაია

გასული წლის ცხრა დეკემბერს, *84* წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, საქ. აკადემიის აკადემიკოსი დემნა კონსტანტინესძე შენგელაია. განსვენებულის მდიდარი მემვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა: „სანავარდო“ და „ბათა - ქექია“.

*** *** *** ***

კოპოზიტორ რევაზ ლაღიძის გარდაცვალება

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ამ. წ. *16* ოქტომბერს *60* წლისა გარდაიცვალა სახელგანთქმული კომპოზიტორი რევაზ ილიას ძე ლაღიძე. განსვენებულის მუსიკა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს სამშობლოში, ბევრ მის ჰანგს ჩვენც დავუტკბივართ, საღვარგარეულ, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ **სიმღერა თბილისზე**“.

*** *** *** ***

მამულიშვილების გასამართლება

1980 წლის სექტემბერში საქ. უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა: **ვ. ელენტი, ზ. გოგია,** და **ზ. ჰითანავა,** რომელთაც ბრალი ედებოდათ სხვადასხვა ქალაქებში პროკლამაციების გავრცელებაში, სადაც მოთხოვნილი იყო საქართველოს განთავისუფლება. პირველ ორს მიესაჯა *6* და მესამეს *5* წლით პატიმრობა და სამივეს სასჯელის მოხდის შემდეგ *3* წლით გადასახლება. („ალტერნატივ“ №*12*. სექტემბერი და ოქტომბერი *1981*.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფეთქება თბილისის ფეხბურთის სტადიონზე

წელს, პირველ აპრილს, თბილისში, დინამოს სტადიონზე უცნობმა პირებმა ააფეთქეს შუშხუნა მხრჩოლავი ბომბი მაშინ, როცა სტადიონზე მიმდინარეობდა შეჯიბრება მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთის გუნდებს შორის. აფეთქებამ პანიკა გამოიწვია ცოტა ხნით. მატჩის კომისარმა, დონეცკელმა ბ. სტრელეცკიმ ნება დართო ლენინგრადელ მსაჯს, ა. პოლკანოვს, თამაშის გაგრძელებისა. გაზეთი „კომუნისტი“, საიდანაც ეს ამბავი შევიტყვეთ, არ ამბობს ვინ და რა მიზნით ააფეთქეს ბომბი.

*** *** *** ***

ქართ. საბჭოთა ენციკლოპედია №5

წლევანდელი 21 მარტის გაზ. „კომუნისტი“ იუწყება : „ამ დღეებში გამოვიდა „ქართ. საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეხუთე ტომიც. ეს ტომი მოიცავს ტერმინი-სტატიებს „თუთია“—„კოქტეილი“, ე.ი. ასო „თანზე“ განწყობილი სტატიების ერთ ნაწილს, „ინს“ მოლიანად და „კანის“ მნიშვნელოვან ნაწილს—სულ 5.493 ტერმინ-სტატიას.“

*** *** *** ***

საქ. საბჭოთა მწერლების მეცხრე ყრილობა

30_31 მარტს თბილისში ჩატარდა საქ. საბ. მწერლების რიგით მეცხრე ყრილობა. გაზ. „კომუნისტი“-ს თქმით: „იგი იყო მხატვრული სიტყვის ოსტატთა პატაკი პარტიისადმი, ხალხისადმი, ლიტერატურულ ხუთწლედის წარმატებით შესრულების შესახებ.“

თვით ყრილობაზე არაფერი თქმულა ახალი და მნიშვნელოვანი, მაგრამ მის მიერ არჩეულ გამგეობის პლენუმზე მოხდა საყურადღებო ამბები. პლენუმი გახსნა ედუარდ შევარდნაძემ. დიპლომატიური მადლობა მიუძღვნა გამგეობის ყოფილ მდივანს გრიგოლ აბაშიძეს და მის ადგილას წამოაყენა მწერალ ნოდარ დუმბაძის კანდიდატურა. პლენუმმა შევარდნაძისა და ს.ს.რ.კ.კ.პ.ც. კომიტეტის მუშაკის ე. მირონოვის, რომელიც თავიდან ბოლომდე ესწრებოდა და ალბათ ხელმძღვანელობდა ქართველ მწერლების ყრილობას, ნებასურვილით ნოდარ დუმბაძის გარდა, ახალ გამგეობაში აირჩია მდივნებად: გიორგი ციცუშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე, რ. მიმინოშვილი. გრიგოლ აბაშიძე დანიშნულია „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის“ თავმჯდომარედ.

Djobadze's Library

*** *** *** ***

უკანასკნელი ამბები

პირველად გერმანიის კათოლიკური საააგენტოს ცნობით შევიტყვეთ, 13 ოქტომბერს ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების ამბავი. შემდეგ, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით 13 ოქტომბერს, მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში ადგილი ჰქონებია რეჟიმის საწინააღმდეგო მანიფესტაციას, რომელიც ავიწროებს და დევნის სკოლებიდან და დაწესებულებებიდან ქართულ ენას. ეს საპროტესტო შეკრება დაუშლია პოლიციას, დაუპატიმრებია ზვიად გამსახურდია და სხვა თავკაცები, სულ 12 ქართველი.

როგორც წარსულ ნომერში ვიუწყებოდით, ზვიად გამსახურდიამ უკვე ერთი ხანია განაახლა თავისი აქტიური მოღვაწეობა როგორც ეროვნული, ისე სარწმუნოებრივი ჩაგვრის წინააღმდეგ.

დ ი დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი წ ლ ი ს თ ა ვ ი

გასულ 9 მარტს 25 წელი შესრულდა აჯანყებული თბილისის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის უმოწყალოდ ამოხოცვიდან. მაშინ მთელი ჩვენი გულისყური მიპყრობილი იყო სხვა დიდი ეროვნული გლოვის თარიღის—საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის 60 წლისთავის აღნიშვნისაკენ და ამ მეორე სამგლოვიარო წლისთავზე ჩვენი მკითხველების ყურადღება ვეღარ გავამახვილეთ. გარნა, მისი დავიწყება ან უგულებელყოფა ჩვენგან არ ეგების და, როგორც ჩვენი ხალხის სიბრძნე ბრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს: სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს !

ჩვენ გვგონია: ჩვენი ხალხის მიერ საბჭოთა რუსეთის მპყრობელობიდან თავის დახსნის ბრძოლების ისტორიაში *1956* წლის *9* მარტი, თავისი შედეგებით და მსხვერპლით, *1924* წლის აგვისტოს ეროვნულ გამოსვლების შემდეგ, პირველი სიდიდის ნიშანსვეტია. თუმცა ამ ბრძოლას და იქ გაღებულ მსხვერპლს ჩრდილი მიაყენა იმ ფაქტმა, რომ მისი საბაბი გახდა სტალინის საძულველი კულტის დაცვა, მაინც ის თავის განვითარებით და შედეგებით ქართველი ერის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. ჩვენ რუსების ცბიერ საპროპაგანდო ანკესზე არ უნდა წამოვეგოთ, სარეველა ბალახი საკვებ ხორბლეულისაგან უნდა გამოვაცალკეოთ.

ძნელია ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე: რა მოხდა თბილისში *1956* წ. *9* მარტს? მიუხედავად იმისა, რომ მის შემდეგ *25* წელი გავიდა ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ ამბავს ჯერ ისტორიკოსის მადლიანი კალამი არ შეხებია. არ შეხებია, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლება კრძალავს მასზე ლაპარაკს, მითუმეტეს მასზე წერას, მალავს და აყალბებს არსებულ დოკუმენტებს. მარტო ეს ფაქტი საკმარისია დავასკვნათ, რომ ის საბჭოთა ხელისუფლების საფრთხობელაა.

ერთი უეჭველია: *1956* წლის *5* მარტს თითქმის ყველგან საქ. დიდ ქალაქებში დაიწყო ახალგაზრდების შეკრება-მიტინგები, სადაც ადიდებდნენ სამი წლის წინად გარდაცვლილ სტალინს. ეს შეკრებები ლეგალური იყო, ისინი ნაკარნახები იყვნენ ადგილობრივი, საქართველოს პარტხელმძღვანელობისაგან. ეს გასაგებია: ლავრენტი ბერია ახალი მოკლული იყო, სტალინის განგვირგვინების კამპანიაც ახალი იყო და ის ფარულად წარმოებდა, პარტიის შიგნით, ხალხს სიმართლეს უმალავდნენ(მას დღემდე უმალავენ). საქ. კომპარტიის პირველ მდივნად ვასილ მჟავანაძე ნიკიტა ხრუშჩოვის დასმული იყო, მაგრამ უმრავლეს საპასუხისმგებლო პოსტებზე ჯერ კიდევ ბერიას და სტალინის მიერ იყვნენ დაყენებული. ეს უკანასკნელები თრთოდნენ არა მარტო მათი თანამდებობების, არამედ მათი სიცოცხლის შენარჩუნების შიშითაც და მოხდა ისე, რომ პირველად სტალინელების ინტერესი და მისწრაფებები დაემთხვა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და მისწრაფებებს და ის ერთად უპირისპირდებოდა კრემლს. აქედან გამომდინარე მოძრაობა ღებულობს საერთო ეროვნულ ხასიათს. თუ აჯანყებაში ყველა არ მონაწილეობს, მას თანაუგრძნობს მთელი ქართველობა: კომპარტია, კომკავშირი, პროფკავშირები და თვით სასამართლოს ორგანოები. ამაში გვარწმუნებს ვასილ მჟავანაძის განცხადება თბილისის აქტივის კრებაზე, *18* მარტს. ხუთ მარტს თუ მანიფესტაციები სტალინის ხოტბით დაიწყო ცხრა მარტს სტალინს კი აღარ ახსენებენ, არამედ მოითხოვენ საქართველოს გამოყოფას საბჭოთა კავშირიდან. როგორც ვთქვით საპროტესტო მანიფესტაციები ყველა მნიშვნელოვან ქალაქში ტარდებოდა, მაგრამ ყველაზე ტრაგიკულად თბილისში დაგვირგვინდა. *9* მარტს თბილისის ცენტრი აჯანყებულებს ეკავათ. თვით უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის განცხადებით: სატრანსპორტო მოძრაობა თბილისში შეწყვეტილი იყო, ვაგონები გადაყირავებული...დემონსტრატები გაიძახოდნენ ნაციონალისტურ, აკრძალულ ლოზუნგებს და სხვა. მანიფესტანტები მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას, საქართველოს დამოუკიდებლობას და, რომ ეს მათი გადაწყვეტილება მსოფლიოსათვის ემცნოთ და გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციისათვის მიემართათ დახმარებისათვის, გაეშურენ ფოსტა-ტელეგრაფის სასახლისაკენ, მაგრამ ამ შემთხვევისათვის მოყვანილმა სპეციალურმა რუსულმა ჯარის ნაწილებმა ტყვიის მფრქვეველების საშინელი ცეცხლი გაუხსნა უიარაღო ხალხს. ეს იყო ნამდვილი ყასბობა. თბილისის ქუჩები მისი შვილების ცხედრებით და მძიმე დაჭრილებით მოიფინა...სისხლი ღელეებად სდიოდა...

სიტყვით ლიბერალი ნიკიტა ხრუშჩოვი ისეთივე ვერაგი და უწყალო ჯალათი გამოდგა, როგორც სტალინი, რომელსაც ის ასე გმობდა, ამიტომ მისი მთავრობიდან გადაგდება ქართველებს არ უტირიათ. თბილისის მანიფესტაციების დახვრეტის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვმა „თავი ისახელა“ ბერლინის „სამარცხვინო კედლის“ აღმართვით და უნგრეთის მოსახლეობის ტანკებით მოსრესით. *1956* წელი, საბჭოთა მყინვარის ღობის წელი გახდა. საბჭოთა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ აფრიალდნენ დროშები მთელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ ევროპაში. 9 მარტის აჯანყებული თბილისი პირველი მერცხალი იყო ... ფხულის მაუწყებელი. კრემლის ცბიერმა პროპაგანდამ გაავრცელა ხმები თითქოს ქართველები სტალინის კულტს იცავდნენ. ამ ცილისწამებით ბევრი კიდევაც დააჯერეს, მაგრამ ჩვენ ისინი შეცდომაში ვერ შეგვიყვანებენ. ქართველი პატრიოტებისათვის 1956 წ. მარტი ორმაგადაა ძვირფასი: თბილისის ქუჩებში ქართული სისხლი დაიღვარა რუსის მხედრიონისაგან. რა მოტივიც არ უნდა დებოდა მას სარჩულად სულერთია—ქართული სისხლი ძვირფასია ჩვენთვის, ეს ერთი და მეორეც ის, რომ თბილისის ახალგაზრდობა ამ დღეს გმობდა საბჭოთა წესწყობილებას, საბჭოთა სახელმწიფოს და მოითხოვდა საქართველოს თავისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობას. ამისთვის დახოცეს ისინი რუსებმა უწყალოდ. დიდება მათ სახელებს!

„თ.ტ."

ჩ ვ ე ნ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი

90 გაზაფხული

მანდილოსნის წლოვანების გამჟღავნება უზრდელობად ითვლება. ამ შემთხვევაში წესს უნდა გადავუხვიოთ და ძვირფას **ნამეტია გოგუაძე-ბერძენიშვილის ასულს** დაბადებიდან 90 წლის შესრულება უნდა მივულოცოთ.

3 მარტს, დაბადების დღეს, მამია ბერიშვილის და მისი ოჯახობის ინიციატივით, ღევილის ქართული მამულის სადარბაზოში შევიკრიბეთ იუბილარის ახლო მეგობრები. მოძღვარმა ილიამ წირა იუბილარის პარაკლისი. შემდეგ გაიმართა ნადიმი ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარის ვიქტორ ხომერიკის თამადობით, რომელმაც ყველას მისცა სიტყვა თავთავიანთი გრძნობის გამოსახატავად. ყველა ორატორმა მადლობა გადაუხადა იუბილარს იმ დედობრივი მზრუნველობისათვის, რომელსაც ის იჩენდა და იჩენს გადმოხვეწილობაში მყოფ ყველა თანამემამულის მიმართ, ღევილის სასაფლაოს დაფუძნება-მოვლისათვის და ღევილის ქართული კერის მოვლა-პატრონობისათვის. ლათინური იაქესავით გამართულმა იუბილარმა სამადლობელ სიტყვაში თქვა: მადლობელი ვარ ასეთი უხვი ქებისათვის, მაგრამ ყველაფერს ხალს ოქროდ არ ვღებულობ. მე მადლობა არ მეკუთვნის: თუკი რამე გამიკეთებია, ეს იყო ჩემი სულიერი მოთხოვნილება. ღევილის მამულში მე ვცდილობდი მომექუჩებია ყველაფერი, რათა ის დამსგავსებოდა საქართველოს ერთ კუთხეს, ხოლო, როცა ღევილის სასაფლაოზე მივდივარ თითქოს მესაუბრებიან იქ განსვენებული ჩემი ძვირფასი ადამიანებიო.

*** *** *** ***

91 წლის მედროშე—ქრისტეფორე იმნაიშვილი

პარიზის ქართველების მედროშეს 91 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით მან მამა ილიას აწირვია, ეზიარა და ახლო მეგობრები ქართულ რესტორანში მიგვიპატიჟა. რა თქმა უნდა შეისვა ჭარმაგი იუბილარის სადღეგრძელოები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ პროკოფი ინწკირველის სიტყვა, რომელმაც მოიგონა ქრისტეფორე იმნაიშვილის მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დამარცხების შემდეგ. სამადლობელ სიტყვაში იუბილარმა თქვა: მე დღეს ჩემი ცხოვრების 91 წლისთავს კი არ ვზეიმობ მხოლოდ, არამედ განსაკუთრებით იმას, რომ სამოცი წელიწადი ზედმეტი ვიცხოვრე. 1921 წელში, როცარუსებმა დაგვიბყრო, ჩვენ ბოლშევიკებს ჩემი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ბედათ გადავრჩი და, როგორც ხედავთ დღესაც ცოცხალი ვარო. და სანამ ცოცხალი ვიქნები მიგულეთ ჩემი ქვეყნის ჯარისკაცადო.

*** *** *** ***

გრიგოლ რობაქიძის დაბადების 100 წლისთავი

28 ოქტომბერს სრულდება ასი წელი ჩვენი სახელოვანი პოეტის, მწერლის და პუბლიცისტის, **გრიგოლ რობაქიძის** დაბადებიდან. შექმნილია საიუბილეო კომისია: ქალბატონი გულნარა ურატაძე—თავმჯდომარე, ბატონები: ნიკოლოზ ურუშაძე, გიორგი ნოზა-

ძე, სანდრო ფანჩულიძე, ღევან ფაღავა, დეკანოზი ილია მელია, გიორგი წერეთელი-მდივანი. კომისიამ დაადგინა: ჩატარდეს გრიგოლ რობაქიძის საიუბილეო დღეები: ა) ა.წ. 29 ნოემბერს, საკვირაო წირვის შემდეგ გადახდილი იქნება იუბილარის პარაკლისი წმიდა ნინოს ეკლესიაში. ამავე დღეს, ღევიღის სასაფლაოზე, სრულ 16 საათზე, გრიგოლ რობაქიძის საფლავი შეიმკოს ცოცხალი ყვავილებით და გადახდილიქნას პანაშვიდი.

ბ) კვირას 6 დეკემბერს სრულ 15 საათზე პარიზში, წმიდა ნინოს ეკლესიის ბინაზე გაიმართება გრიგოლ რობაქიძის საიუბილეო საღამო შემდეგი პროგრამით: მოხსენებები ქართულად და ფრანგულად გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე, გრ. რობაქიძის ზოგიერთ თხზულებათა მხატვრული კითხვა, მეფანდურეთა გუნდი შეასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს.

გ) გამოიცეს განსაკუთრებული ნომერი მიძღვნილი გრ. რობაქიძის 100 წლისთავისადმი.

*** *** *** ***

ეთერი ფაღავის ბალეტი

მიმდინარე წლის 13, 20-სა და 21 ივნისს, პარიზის საზაფხულო ფესტივალის ჩარჩოებში, რომლის დროს სხვა და სხვა დარგის ხელოვნები: მოცეკვავეები, მომღერლები, მუსიკოსები და ა. შ. პარიზელთა წინაშე გამოდიან, დიდი წარმატებით ჩატარდა ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ბალერინა და ამჟამად ქორეოგრაფ-ეთერი ფაღავის საბალეტო დასის სპექტაკლი.

წარმოდგენა გაიმართა ღია ცის ქვეშ, რასაც ხელი შეუწყო მზიანმა ამინდმა, ლათინურ კვარტალში მდებარე სენ-სულპისის ეკლესიის მოედანზე. სპექტაკლს ესწრებოდა მრავალი ბალეტის მოყვარული მაყურებელი, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი ფრანგი ბალერინა ჟანინ შარა.

საბალეტო დასმა მშვენივრად შეასრულა ერთ საათიანი პროგრამა; ყველა ცეკვის ქორეოგრაფია ეკუთვნის თვით ეთერი ფაღავას, რომელსაც დიდი ოვაცია გაუმართეს მაყურებლებმა.

გულნარა ურატაძე

ჩვენი ფონდი ფრანგულ ფრანკებში

აკაკი გამსახურდია–50,00, მიშა გაფრინდაშვილი–100,00, რაფიელ ჯაში–200,00, ილია კუპუხიძე–230,00, დავით ვაშაძე–300,00, ილო ემუხვარი–100,00, დავით თორაძე–600,00 გრიგოლ აბულაძე–271,80, მერაბ კვიტაიშვილი–271,80, თამაზ ნასყიდაშვილი–100,00

ჯამი = 2.223,60

ბ ა ლ ა ნ ს ი (ფრანგულ ფრანკებში)

ჩვენი ჟურნალის ხარჯები აღარ გამოგვიქვეყნებია 20 ნომრის შემდეგ, ქვემოდ ვაქვეყნებთ ბალანსს უკანასკნელ 33 ნომრამდე ჩათვლით. ანგარიში, როგორც ყოველთვის ფრანგულ ფრანკებშია.

შემოსავალი (უკვე გამოცხადებული): №21 = 2.087,90; №22 = 2.062,40; №23 = 3.243,50; №24 = 3.202,82; №25 = 3.051,89; №26 = 0; №27 = 2.554,22; №28 = 3.035,93; №29 = 2.870,23; №30 = 1.930,00; №31 = 2.945,72; „დაპყრობის 60 წლისთავი“ = 11.865,00 №33 = 6.383,51; ჯამი = 45.233,12;

გასავალი: №20-ში გამოცხადებული პასიური ბალანსი = 1.860,19; №20 = 1.927,93; №21 = 1917,56; №22 = 1.914,76; №23 = 2.122,00; №24 = 2.216,82; №25 = 2.041,10; №26 = 2.732,65; №27 = 2.760,47; №28 = 3.264,33; №29 = 3.395,62; №30 = 3.206,00; №31 = 3.211,80; „დაპყრობის 60 წლისთავი“ = 13.360,25; №33 = 3.529,16; ჯამი = 49.967,16;

პასიური ბალანსი შეადგენს – 4.227,52 ფრანკს.

EDITIONS THAVISSOUPHLEBISS TRIBOUNA
EDITEUR : GEORGES TSERETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS; TEL. 607.08.14;
Edition hors commerse